ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

გვ.6

კოვიდ-19-ის აცრის ყალბი ბარათი 150 ლარად დაამზადეს

სუსი: „მოვუწოდებთ უკრაინას, მოგვაწოდოს დამადასტურებელი მტკიცებულებები“

გვ.5

ოთხშაბათი, 6 აპრილი, 2022 №68 (8846) ფასი: 80 თეთრი

„ოცნებაც“ და ნაციონალებიც ორივე რუსული ძალაა“

გვ.2

შალვა ხაჭაპურიძე: „ივანიშვილი რუსეთს „მსხვერპლს“ შეწირავს!

„ვაი და მართლა დადოს უკრაინულმა მხარემ რაიმე მტკიცებულება კონტრაბანდულ ტვირთებთან დაკავშირებით, აქ ამბავი დატრიალდება, წარმოდგენაც კი არ აქვს საქართველოს ხელისუფლებას“

„ქართულმა ოცნებამ“ დასავლეთის სპეცსამსახურებთან ერთად მონიტორინგი უნდა დაიწყოს ლარსზე“

გვ.3

გიორგი ვაშაძე: „ხელისუფლებამ მყისიერად უნდა იმოქმედოს, ასე ევროკავშირს ვერც კი მივუახლოვდებით“

გვ.3

„უკრაინამ მტკიცებულებები უნდა წარმოგვიდგინოს კატასტროფულ ბრალდებაზე“

სოსო ცინცაძე: „საქართველოში ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ისეთივე სიძულვილია, როგორიც რუსეთ-უკრაინას შორისაა“

ბიბილოვი ორი რეფერენდუმის მოწყობას გეგმავს

კრემლი თბილისზე ზეწოლას ახდენს?

გვ.4

გვ.5

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ოფიციალური ვიზიტი ესპანეთის სამეფოში დასრულდა

ხატია დეკანოიძე: „გია ლორთქიფანიძე არ მუშაობს უკრაინის სამხედრო დაზვერვაში“



გვ.4

გვ.2

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დიდი ბრიტანეთის საპარლამენტო დელეგაციას შეხვდა

4 სააკაშვილი: „ომის პარტია არის ის, ვინც ქადაგებს, რომ ჩვენ უნდა ჩავაბაროთ საქართველო“

2 რატი იონათამიშვილი: „ევროპარლამენტის ანგარიში არაერთ უზუსტობას შეიცავს“

5 ჟურნალისტებზე ძალადობისთვის 6 პირს 5-5 წელი მიესაჯა

6 ზელენსკი: „ოკუპანტები პასუხს აგებენ მათ მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულისთვის“

1993230720223

„ოცნებაც“ და ნაციონალებიც ორივე რუსული ძალაა“

შალვა ხაჭაპურიძე: „ივანიშვილი რუსეთს „მსხვერპლს“ შეწირავს!

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი შალვა ხაჭაპურიძე პასუხობს.

– ბოლო პერიოდია უკვე ბევრს საუბრობენ ხელისუფლების ცვლილებაზე, ხომ არ მომწიფდა ეს საკითხი?

– არა, სანამ ნაციონალური მოძრაობა იქნება ოპოზიციაში, ეს ხელისუფლება ძალიან ბედნიერად იგრძნობს თავს. სანამ იმათ ჰქვიათ მთავარი ოპოზიციური ძალა, აქ არაფერი არ შეიცვლება. როგორც ბათუმში დამთავრდა არჩევნები ორი დღის წინ, ასე იქნება მუდამ, სანამ ეს ორი ძალა იქნება, ერთი ხელისუფლებაში და მეორე ოპოზიციაში. ხალხი უნდა გამოვიდეს და ერთხელ და სამუდამოდ გაიწმინდოს ქვეყანა იმ პოლიტიკური ძალებიდან, რაც ბოლო 30 წელია ტრიალებს ამ ქვეყანაში. მე მგონი, ამ უკრაინის ამბებს ეს მოყვება. ზოგადად ძალიან ბევრი რამ მოყვება უკრაინის ამბებს. როგორც გერმანიის კედლის დაშლას მოყვა საბჭოთა კავშირის ნგრევა, უკრაინის ომის შემდეგ დაიშლება რუსეთის იმპერია. ხოლო ის პოლიტიკური ძალები, ვინც რუსეთის მოყვანილია, რომელი ქვეყანაც არ უნდა იყოს ეს, ისინი მაშინვე გაქრებიან პოლიტიკური არენიდან! ჩემი აზრით, ორივე რუსული ძალაა, „ოცნებაც“ და ნაციონალებიც. დამიჯერეთ, ორივე პოლიტიკური ძალა აორთქლდება პოლიტიკური ველიდან. ხოლო მთავარი მოთამაშე ვინც არის, ბიძინა ივანიშვილი, დარწმუნებული ვარ, თავს დაიძვრენს ამ სიტუაციიდან.

ბიძინას აქვს სათავისოდ კარგი ტერმინი, რომელსაც ახლა გამოიყენებს – მსხვერპლი. ბიძინა ივანიშვილი აღმოჩნდება რუსეთის მსხვერპლი. ქართველ ხალხს არ მოსწონს „ქართული ოცნება“, ან რა მოსაწონია, მაგრამ რა გააკეთონ, სხვაც რომ არავინ არ არის?! შუაც ხომ მიზანმიმართულად გაიკრიფა. მესამე ძალას არ უშვებენ პოლიტიკურ ველზე. აუცილებლად უნდა გაიმარჯვოს უკრაინამ, ამას შემდეგ რუსეთში სერიოზული ძვრები მოყვება, ის ჩვენთვის ველარ მოიცლის და აი, სწორედ მაშინ გვეძლევა ვითარების რადიკალურად შეცვლის შანსი.

– ბატონო შალვა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პროცესებს? უკრაინის თემა მსოფლიოში ნომერ პირველი საკითხია. გუშინ უკრაინულმა მხარემ შოკისმომგვრელი განცხადება გაავრცელა, საქართველოს გავლით კონტრაბანდულ არხს ვგულისხმობ. რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ეს ინფორმაცია? ხოლო თუ ასე არ არის, მაშინ რატომ ვრცელდება მსგავსი სახის ინფორმაციები?

– პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ის, რომ ძალიან შემაშფოთებელი განცხადება იყო. პირველივე დღესვე, ხელისუფლების გამოხმაურება იყო ძალიან არაადეკვატური. ნაცვლად იმისა, ეთქვათ, სასწრაფოდ მოგვაწოდეთ მასალები და გამოვიძიებთ, გავერკვევით რა ხდებაო, დამცინავი განცხადებები გაკეთდა. დღეს უკვე გაასწორა ხელისუფლებამ განცხადება, მოითხოვა გადმომეცით მასალები, ჩატარდება გამოძიება და თუ ეს გამოიკვეთა, დაისჯება ნებისმიერი პირი და თუ არა, მაშინ მოგიწევთ ბოდიშის მოხდაო. ეს უკვე შედარებით ადეკვატური პასუხია იმ ყველაფერზე. ხელისუფლება მსგავსი ტიპის განცხადებებზე უნდა იყოს ორიენტირებული. ფაქტია, რომ რაღაც ტიპის ძალა ცდილობს დაძაბულობის შექმნას ქვეყანაში.

– ანუ ვიღაც მიზანმიმართულად ავრცელებს მსგავსი სახის ინფორმაციებს?

– ვერ გეტყვით. ძალიან ძნელია ზეპირი შეფასებები. უკრაინულმა მხარემ მტკიცებულება უნდა წარმოადგინოს.

– რამდენად არის იმის რისკი, რომ მსგავსი რამ მოხდეს და მართლაც გამოიყენონ რუსეთმა საქართველოს ტერიტორია? ეკონომიკური კუთხით ეს უკვე ხდებაო, გვესმის განცხადებები, რომ კომპანიები ელვის სისწრაფით რეგისტრირდებიან.

– კი, რეალურია, სერიოზულად რეალური. მაგალითად, პირადად მე დამირეკეს მოსკოვიდან იქ მცხოვრებმა ქართველებმა, რომ ჩამოვალთ, დავაფუძნებთ კომპანიას საქართველოში, ეს კომპანია რუსეთიდან შეისყიდის ხე-ტყეს და შემდეგ ამ ხე-ტყეს გაყიდის ევროპაში. სინამდვილეში არც არავინ არაფერს არ ყიდულობს, არც არავინ არაფერს არ ყიდის. უბრალოდ, სქემაა ასეთი, რომ რუსეთმა რამენაირად მოახერხოს სანქციებისთვის თავის არიდება. ამაზე ჩვენ კატეგორიული უარი ვუთხარით, რაზეც განაწყენდნენ და პირდაპირ მითხრეს, რომ რა პრობლემაა, სხვა ადვოკატს მოვძებნით და ის დაგვეხმარებაო. რაც შეეხება იმას, ქართველი ბიზნესმენები ამას იკადრებენ თუ არა, რა თქმა უნდა, იკადრებენ. ამაზე უარესები უკადრიათ და ამასაც იკადრებენ.

– ზოგადად ძალიან ცუდი პოზიცია აქვს საქართველოს ხელისუფლებას. ვისმენთ შეფასებებს, რომ ორ სკამზე ჯდომას ცდილობს ჩვენი ხელისუფლებაო. რა გზავნილებია ეს და საით ვართ ბოლოს და ბოლოს?

– განცხადებები, რომელსაც პრემიერ-მინისტრი აკეთებს ბოლო პერიოდში და არა მარტო პრემიერ-მინისტრი, ზოგადად „ოცნების“ სპიკერატი, მათი განცხადება გამიზნულია სამი მიმართულებით. პირველი, საქართველოს მოსახლეობას ეუბნებიან, რომ სულ არ მაინტერესებს თქვენი აზრი, მე ჩემს პოლიტიკას გავატარებ ბოლომდე. აშკარად იგრძნობა ეს უპატივცემლობა ადამიანების, საკუთარი ამომრჩევლის მიმართ. მეორე გზავნილი რაც არის, უკრაინას ეუბნებიან, მიდით რა და მიხედეთ თქვენს საქმეს. მესამე – რუსებს ეუბნებიან, ნუ გეშინიათ, ჩვენ თქვენსკენა ვართ, ყველაფერი კარგად იქნება. აი ეს ღიად ჩანს და თუ ვინმე ამაზე არ დამეთანხმება, ძალიან ტენდენციური და რუსოფილია, ამას პირდაპირ ვაცხადებ.

„რუსეთმა უნდა დაასრულოს ამ ფორმით არსებობა, მათ საერთოდ უნდა ჩამოერთვათ ატომური იარაღი“

– საზოგადოებას სრულიად სხვა პოზიცია აქვს და ხელისუფლებას, სხვა.

– დიახ, ასეა, სრულიად განსხვავებულია და სწორედ რომ არ იზიარებს ხელისუფლება ხალხის პოზიციას. ხალხს ეუბნებიან, ჩვენ არ გვაინტერესებს თქვენი აზრი, ჩვენ ასე გვჭირდება და ვაკეთებთ ამას. ომი გინდათ? და ასეთი უაზრო კითხვებით ერთმანეთში ილაპარაკონ! ეს არ არის არგუმენტი.

– რა არის ხელისუფლების პოზიცია? ეს არის რუსეთის მხარდაჭერა?

– ჩემი აზრით, ჩვენი ხელისუფლება რუსეთს ეუბნება, რომ ნუ გეშინიათ, ჩვენ აგერ ვართ. თუმცა „ქართული ოცნება“ იმასაც ელოდება, რომ თუ რუსეთი ისე დამარცხდა, რომ კუდის მოქნევა არ შეეძლო, მერე გამოვა და შეცვლის პოზიციას. ადგება ბიძინა და შეწირავს ვიღაცას, რა, გაუჭირდება? გამოვა და იტყვის, არასწორი პოზიცია ჰქონდათ და არასწორ განცხადებებს აკეთებდნენო. მოკლედ, ეს ყველაფერი თამაშია. რა იცი, ვინ მოიგებს, დაახლოებით ეგ თამაშია.

– რომ მერე გამარჯვებულის მხარეს გადავიდნენ?

– რა თქმა უნდა. ასეთი პოზიცია ბიძინა ივანიშვილს რომ აქვს, ეს ცხადია. ის დღე იყო ჩემი წყალგამყოფი ბიძინასთან და „ოცნებასთან“, როდესაც ივანიშვილმა მურისიძე-ჩინჩალაძე დაიყენა გვერდით. ძალიან ჭკვიანი ხალხია, რეჟიმს კი არ დაუპირისპირდნენ, არამედ მათთან თანაცხოვრება არჩიეს და ამით თავი გადაირჩინესო. ასეთი ჭკვიანი ხალხი გვჭირდება გვერდითო. ეს ყველაფერი შოკის მომგვრელი იყო ჩემთვის. ბიძინას ეს მსოფლმხედველობა ვრცელდება დღეს რუსეთ-უკრაინის ომზე.

– რამდენად ვზარალდებით ამ პოლიტიკით?

– ვაი და მართლა დადოს უკრაინულმა მხარემ რაიმე მტკიცებულება კონტრაბანდულ ტვირთებთან დაკავშირებით, აქ ამბავი დატრიალდება, წარმოდგენაც კი არ აქვს საქართველოს ხელისუფლებას, აქ იმდენად მძიმე ამბები დატრიალდება. 2012 წლის მერე, მე ქუჩაში არ გავსულვარ და ქუჩაში არ ვმდგარვარ...

– ფიქრობთ, რომ მასობრივად გავა ხალხი ქუჩაში?

– რა თქმა უნდა, გავლენ და მერე როგორ და მოთხოვნა იქნება მხოლოდ ერთადერთი, ამ ხელისუფლების გადადგომა!

– რა მოლოდინი გაქვთ, როგორ განვითარდება უკრაინაში პროცესები? რით დამთავრდება ეს ყველაფერი?

– მე რასაც ვხედავ, დასავლეთი ცდილობს, ეს ომი გადაიყვანოს გრძელვადიან ომში, რუსეთი დაქანცოს და ეკონომიკურად მოგუდოს, თუმცა, ვფიქრობ, რომ გაუჭირდება ამის გაკეთება. დასავლეთი უფრო რადიკალური უნდა იყოს თავის ქმედებებში. ყველას ეკითხებიან, რა დაამთავრებს ამ მოვლენებს? მე გეტყვით, რაც დაამთავრებს, უკრაინა და საქართველო, რაც შეიძლება სწრაფად უნდა მიიღონ ნატოში. აი მაშინ დამთავრდება ეს ყველაფერი უცებ. რუსეთს იმის ძალა ნამდვილად არა აქვს, რომ ნატოს წევრ სახელმწიფოებს გაუგრძელოს ომი. თორემ იმის ლოდინი, რომ რუსეთს ბომბი გამოელევა, არ გამოელევა. ვინც აქ კომპანიის დაარსება მთხოვა, სწორედ მათ მითხრეს, რომ პუტინს ბრძანება აქვს გაცემული, 9 მაისის აღლუმი უნდა ჩატარდეს კიევშიო. არის ინფორმაციები, რომ თავდასხმები უფრო გამწვავდება და რუსეთი უფრო მეტად გააქტიურდება. პუტინი ყველაფერზეა წამსვლელი. სანამ რუსეთი იარსებებს ამ ფორმით, რა ფორმითაც არსებობს, სამყარო მშვიდად ვერ დაიძინებს. რუსეთმა უნდა დაასრულოს ამ ფორმით არსებობა, მათ საერთოდ უნდა ჩამოერთვათ ატომური იარაღი. ეს არის ერთადერთი გამოსავალი.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დიდი ბრიტანეთის საპარლამენტო დელეგაციას შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დიდი ბრიტანეთის საპარლამენტო დელეგაციას შეხვდა, რომელსაც საქართველოს საკითხებზე პარტიათაშორისი საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფის თავმჯდომარე ჯონათან ჯანოგლი ხელმძღვანელობს.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის არსებული სტრატეგიული პარტნიორობის კიდევ ერთი მკაფიო დასტურია და იმედი გამოთქვა, რომ ქვეყნებს შორის არსებული მჭიდრო ურთიერთობები კიდევ უფრო გააქტიურდება როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატებში.

საუბარი შეეხო საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულ და მიმდინარე დემოკრატიულ რეფორმებს, მათ შორის, საარჩევნო და სასამართლო სისტემების რეფორმას.

შეხვედრისას ყურადღება დაეთმო უკრაინაში მიმდინარე საომარ მოქმედებებს, პრემიერმა ხაზი გაუსვა, რომ საქართველო განაგრძობს უკრაინის პოლიტიკურ მხარდაჭერას როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატებში.

ირაკლი ღარიბაშვილმა ყურადღება გაამახვილა საერთაშორისო საზოგადოების, მათ შორის, დიდი ბრიტანეთის უმნიშვნელოვანეს როლზე რეგიონში, განსაკუთრებით კი ევროპის აღმოსავლეთ ფლანგზე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ არსებული გამოწვევების ფონზე, გაერთიანებულ სამეფოსა და საქართველოს შორის უსაფრთხოების სფეროში მჭიდრო თანამშრომლობა განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს.

გაერთიანებული სამეფოს დელეგაციის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ მკაფიოდ დაადასტურა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე მხარდაჭერა.

პრემიერ-მინისტრმა გაერთიანებული სამეფოს თემთა პალატის წევრებს სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებაში და „კარგი მმართველობის ფონდის“ მეშვეობით, ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში შეტანილი უმნიშვნელოვანესი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას დიდი ბრიტანეთის მხრიდან: დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში მარკ კლეიტონი და თემთა პალატის წევრები – ჯეფრი კლიფტონ ბრაუნი, ჯუდიტ ქამინსი, ტიმოთი ლაუთონი, ჯესიკა მორდენი და მარკ პაუსი, ხოლო საქართველოს მხრიდან საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიდ ბრიტანეთში სოფიო ქაცარავა ესწრებოდნენ.

რატი იონათამიშვილი: „ევროპარლამენტის ანგარიში არაერთ უზუსტობას შეიცავს“

„ქართული ოცნების“ დეპუტატის, რატი იონათამიშვილის შეფასებით, ევროპარლამენტის ანგარიში, რომელიც ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების შესრულებას ეხება და 2020-2022 წლებს მოიცავს, არაერთ უზუსტობას შეიცავს.

მისივე თქმით, აღნიშნული დოკუმენტი სინამდვილეში მომზადებულია არა ევროპარლამენტარების, არამედ საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ, რომელიც კვლევით ორგანიზაციას წარმოადგენს.

– საზოგადოებისთვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება ხდება. ანგარიშში სასიამოვნოდ წასაკითხი იყო, რომ დადებითად არის შეფასებული საქართველოს პარლამენტის მიერ შშმ პირებთან დაკავშირებით მიღებული კანონი და ბავშვთა კოდექსი, თუმცა ფაქტია, რომ ანგარიში ძალიან ბევრ უზუსტობას შეიცავს. მასში საუბარია მმართველ კოალიციაზე, რაც დღეს საქართველოში არ არის.

საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაცია მუშა პროცესია და ამ მიმართულებით სამუშაოს ჩვენ აქტიურად ვახორციელებთ. ევროპარლამენტარების საბოლოო ოფიციალური შეფასება პოზიტიური იქნება, – განუცხადა ჟურნალისტებს რატი იონათამიშვილმა.

ინფორმაციისთვის, ევროპარლამენტმა გამოაქვეყნა ანგარიში, რომელიც ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების შესრულებას ეხება და 2020-2022 წლებს მოიცავს.

ანგარიშის თანახმად, 2020 წლიდან საქართველომ სერიოზულად დაიხია უკან დემოკრატიული პრინციპებისა და იმ ძირითადი პოლიტიკური ვალდებულებების კუთხით, რომლებიც მან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში აიღო.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „მკვეთრი პოლიტიკური პოლარიზაციის კონტექსტში, დემოკრატიული ინსტიტუტები თანდათან კარგავენ საკუთარ არსს და მმართველი კოალიცია სულ უფრო მეტად ახორციელებს ძალაუფლების ხელში ჩაგდების კონცენტრირებას, ამასთანავე ზღუდავს სივრცეს განსხვავებული აზრისთვის“.

ანგარიშში ხაზგასმულია, რომ ქვეყანაში კანონის უზენაესობა მნიშვნელოვნად გაუარესდა.

ISSN 1987-9385
9 771987 938006

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„უკრაინამ მტკიცებულებები უნდა წარმოგვიდგინოს კატასტროფულ ბრალდებაზე“

სოსო ცინცაძე: „საქართველოში ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ისეთივე სიძულვილია, როგორიც რუსეთ-უკრაინას შორისაა“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, უკრაინის თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ სადაზვერვო ინფორმაციას, ხელისუფლების მხრიდან გამოხმაურება მოჰყვა. ირაკლი კობახიძემ უკრაინას მტკიცებულებების წარმოდგენა მოსთხოვა. როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?

– თუ ასეთი რამე ხდება ან მოხდა, 21-ე საუკუნეში, ტექნოლოგიების ეპოქაში, ასეთი რამე არ დაიმალება, შეუძლებელია. ძალიან მალე უნდა გაირკვეს ყველაფერი. საუბარია ძალიან სერიოზულ ბრალდებაზე. ეს არ არის მარტივი ბრალდება, ან უბრალოდ ცილის წამება. საუბარია უმნიშვნელოვანეს საკითხზე ერთი თუ მეორე სახელმწიფოსთვის. ამიტომ, სანამ ამ ბრალდებას გაასაჯაროვებდა უკრაინა, უკეთესი იყო მტკიცებულებებიც დაერთო.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლებას სწორი პოზიცია აქვს. უკრაინა ვალდებულია მტკიცებულებები წარმოადგინოს. გასაგებია ომშია, გასაგებია ის ფონი, რომელიც ახლავს ამ ყველაფერს, სახელმწიფო უწყებების მუშაობას, მაგრამ რადგან ძალიან მძიმე ბრალდებაა, უკრაინული მხარე ვალდებულია უტყუარი მტკიცებულებები წარმოადგინოს.

სანამ ასეთი მტკიცებულებები არ იქნება წარმოდგენილი, თითოეული ჩვენგანი ძალიან ფრთხილად უნდა იყოს ამ საკითხის ირგვლივ გაკეთებულ კომენტარებთან დაკავშირებით.

ჩვენს პოლიტიკოსებზე დიდი წარმოდგენის არ ვარ, მაგრამ ისე მიკვირს, ასე უაპელაციოდ რომ აკეთებენ უკვე მტკიცებით ფორმაში განცხადებებს, საუბარი რომელიღაც ხელისუფლებაზე კი არა, სახელმწიფოსა და მის ინტერესებზეა.

ოპოზიციაში არც ისეთი სულელები არიან, რომ არ ესმოდეთ, რა რისკებთან და რა ცეცხლთან თამაშია ეს ყველაფერი. სამწუხაროდ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ თუ ეს ბრალდება დამტკიცდება, ოპოზიციას გაუხარდება. ეს ძალიან ცუდია. დღეს ისეთი სიტუაციაა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, ისეთი დაუძინებელი მტრები არიან ერთმანეთის, რომ წარმოუდგენელია, რა საკითხმა შეიძლება ეს ხალხი გააერთიანოს. ეს ქვეყნისთვის ძალიან საშიში მდგომარეობაა. დღეს რომ წარმოუდგენელია რუსი და უკრაინელი ჯარისკაცების შერიგება, დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის.

„თუ უკრაინა მტკიცებულებებით არ გაამყარებს ბრალდებას, საქართველოს შეუძლია ელჩი გამოიწვიოს“

მე თუ მკითხავთ, მჯერა თუ არა ამ ინფორმაციის, გიპასუხებთ, რომ მე ამ წუთში არ მჯერა და ველოდები მტკიცებულებებს, არგუმენტებს. მიმდინარე კვირის ბოლომდე თუ არ იქნება წარმოდგენილი ასეთი მტკიცებულებები, მაშინ ხელისუფლებას შეუძლია



ღიად გამოვიდეს და უსაყვედუროს უკრაინულ მხარეს, რადგან მათ ჩვენი სახელმწიფოს რეპუტაცია დააყენეს საფრთხის ქვეშ. ეს ისეთი ბრალდებაა, რომელიც უბრალოდ თავის მართლებას არ ექვემდებარება. ეს არის ქვეყნისთვის კატასტროფული ბრალდება. ამიტომ, სერიოზული მტკიცებულებები უნდა იყოს წარმოდგენილი. თუ ასეთი მტკიცებულებები არ იქნება წარმოდგენილი, მაშინ, ყველაფრის მიუხედავად, იმ ურთულესი მდგომარეობის, ომის მიუხედავად, საქართველოს შეუძლია ელჩი გამოიწვიოს უკრაინიდან, რადგან ასეთი ურთიერთობა უკვე დიპლომატია არ არის.

– ეს დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა იქნება?

– არა, შესანიშნავი ტერმინი არსებობს დიპლომატიაში – ელჩის გამოწვევა კონსულტაციებისთვის. დიპლომატიური ურთიერთობები, როგორც წესი, ომის შემთხვევაში წყდება.

– თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა, თინა ხიდაშელმა განაცხადა, რომ მხოლოდ ერთი ქვეყნის – უკრაინის სადაზვერვო ინფორმაცია არ არის საკმარისი და დიდი ბრიტანეთის ან ლიეტუვის სადაზვერვოს სამსახურის ინფორმაცია იქნებოდა მნიშვნელოვანი.

– დიახ, ეს ასეა. მე როგორც ვიცი, უკრაინა ეყრდნობა დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების სადაზვერვო ინფორმაციას. ამიტომ, საქართველოსთვის ახლა უმნიშვნელოვანესი იქნება ამ ორი სახელმწიფოს მხრიდან სადაზვერვო ინფორმაციის მოწოდება. ისე, სიმართლე გითხრათ, აქამდე, არ მგონია, ჯო ბაიდენსა და ბორის ჯონსონს წყალი ჩაეგუბებინოთ პირში და ასე ჩუმად ყოფილიყვნენ, თუ ეს ინფორმაცია სიმართლეა. ვნახოთ, დაველოდოთ, რას იტყვის ამერიკა და ინგლისი. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია მათთვისაც. ძალიან სწრაფად უნდა გაირკვეს ყველაფერი. ენკავედეს დროსაც კი, 1937 წელს, როდესაც მარშლებს ხვრეტდნენ, ისინი ორი წყაროს დასახელებას ცდილობდნენ. რასაკვირველია, ყველა წყარო ტყუილი იყო, მაგრამ ენკავედეც კი ცდილობდა სოლიდურობის შენარჩუნებას და დავიჯერო, უკრაინა არ ეცდება, რომ ინფორმაცია, რომელიც გაავრცელეს, მტკიცებულებებით გაამყაროს.

– თუ დამტკიცდა, მერე რა ხდება?

– ეს იქნება ჩვენი ქვეყნისთვის კატასტროფა, სკანდალი, რომლისგანაც გამოსვლა ძალიან რთული იქნება. ეს იქნება დანაშაული. რა მოჰყვება? სანქციები. მთელი ცივილიზებული სამყარო მოგვექცევა ისე, როგორც რუსეთს ექცევა.

„ქართულმა ოცნებამ“ დასავლეთის სპეცსამსახურებთან ერთად მონიტორინგი უნდა დაიწყოს ლარსზე“

გიორგი ვაშაძე: „ხელისუფლებამ მყისიერად უნდა იმოქმედოს, ასე ევროკავშირს ვერც კი მივუახლოვდებით“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს სტრატეგია აღმაშენებლის ლიდერი გიორგი ვაშაძე პასუხობს.

– ბატონო გიორგი, როგორ აფასებთ უკრაინული მხარის მიერ გაკეთებულ განცხადებებს? ეს საკმაოდ მძიმე ბრალდებაა, ვგულისხმობ კონტრაბანდული ტვირთის გატარებას. თუ იცით, ვინ მიაწოდა უკრაინულ მხარეს ეს ინფორმაცია, რაზე დაყრდნობით აკეთებენ ამ განცხადებებს?

– ეს არის ძალიან მძიმე ბრალდება და ამ ბრალდებას სჭირდება აუცილებლად მტკიცებულებები. არ ვიცი, ახლა ვინ მიაწოდა, რა არის წყარო ამ ყველაფრის, მაგრამ ვფიქრობ, რომ ერთი, უკრაინული მხრიდან მტკიცებულებები სჭირდება და მეორეა, რომ აუცილებელია, პროაქტიული ნაბიჯები გადაიდგას საქართველოს მხრიდან. ამერიკულ, ბრიტანულ და ევროპულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის შეთანხმება აქვს საქართველოს და ვფიქრობ, რომ მათთან ერთად ერთობლივი მონიტორინგი შეიძლება გაკეთდეს გარკვეული პერიოდი მაინც ლარსის გამშვები პუნქტის, რომ პროაქტიულად ვაჩვენოთ, რომ საქართველოს გავლით არანაირი კონტრაბანდა არ შედის რუსეთში და, მით უმეტეს, სამხედრო დანიშნულების კონტრაბანდა. ეს საერთაშორისო რეპუტაციული დარტყმაც არის საქართველოსთვის.

თეთრი სახლის სპიკერს ნეიტრალური განცხადება ჰქონდა ამასთან დაკავშირებით, პირდაპირ უარყოფა არ გაუკეთებია. ამიტომ მუშაობაა ამ კუთხით საჭირო. ძალიან დიდი საფრთხის შემცველია ზოგადად ჩვენი ეროვნული ინტერესებისთვის და ვფიქრობ, რომ „ქართულმა ოცნებამ“, გარდა განცხადებებისა, რომ გია ლორთქიფანიძე სადღაც მუშაობს, ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას ამ კუთხით.

– რამდენად დამაჯერებელი და სწორი იყო ხელისუფლების განცხადებები და შეფასებები?

– არ იყო. მე გითხარით, მათ ადგილას რასაც ვიზამდი, დაუყოვნებლივ მოვიწვევდი

დასავლურ სპეცსამსახურებს და მათთან ერთად მონიტორინგს დავიწყებდი ლარსის გამშვები პუნქტის, ახლავე და მყისიერად! ასევე დაუყოვნებლივ მოვითხოვდი მტკიცებულებებს ამ საკითხთან დაკავშირებით.

– რამდენად უშვებთ, თუნდაც 1%-ით, რომ ეს სიმართლე იყოს?

– ეს იმხელა სიგიჟეა და იმხელა ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი ნაბიჯია, რომ თუ ვინმეს ეს თავში მოუვიდა, უბრალოდ, მისი პერსონალური განაჩენიც არის, თუ ასეთი გადაწყვეტილება აქვს ვინმეს მიღებული, ან ჩართულია ამ პროცესში.

– შესაძლოა, რომ ხელისუფლების გვერდის ავლით ეს ვინმეს გაეკეთებინა?

– შეუძლებელია ხელისუფლების გვერდის ავლით მოხერხდეს მნიშვნელოვანი კონტრაბანდული ტვირთის გადატანა. ახლა ჩვენ ხომ იმაზე არ ვსაუბრობთ, რომ ჩანთით ვიღაცამ რაღაცა გადაიტანა. აქ საუბარია კონტრაბანდულ ტვირთზე!

– თანაც იარაღზე.

– დიახ, იარაღზე. თან ერთი გამშვები პუნქტი გვაქვს ჩვენ. რა, რუსეთთან ბევრი გამშვები პუნქტი გვაქვს, ბევრი საზღვარია სამონიტორინგო თუ რა. კონტრაბანდა, საერთოდ არც ერთ ქვეყანაში, სახელმწიფო ორგანოების ჩართვის გარეშე არ ხდება. როგორც სიგარეტის კონტრაბანდა არ ხდება ხელისუფლების ჩართვის გარეშე. მთელი დასავლეთ საქართველო წალეკილი აქვს კონტრაბანდულ სიგარეტს, ეს ხელისუფლების ჩართულობით ხდება და წილში უსხედან კონტრაბანდისტებს, ისეა სხვა კონტრაბანდაც. ამიტომ წარმოუდგენელი მგონია, რომ თუ ასეთი ფაქტი მოხდა საერთოდ, ის მოხდეს ხელისუფლების ზედა რგოლების ჩართულობის გარეშე.

კიდევ ერთხელ ვამბობ, ეს არის ძალიან მძიმე ბრალდება საქართველოსთვის, როგორც სახელმწიფოსთვის. პირდაპირ ვთქვათ, რომ ეს არის საერთაშორისო დანაშაული და გარდა მტკიცებულებებისა, ამას სჭირდება ქმედითი ნაბიჯები საქართველოს მხრიდან. დიახ, სწორია, უკრაინული მხარის მხრიდან მტკიცებულებები უნდა მოვითხოვოთ. თუმცა მარტო ეს არ კმარა. ხელისუფლებამაც უნდა იმოქმედოს და რაც შეიძლება მყისიერად.

– სულ უფრო დიდი ბზარი ჩნდება ამ ორი ქვეყნის მეგობრობაშიო. მით უმეტეს, ჩვენი ხელისუფლების პოზიციასაც თუ გავითვალისწინებთ და პრემიერ-მინისტრის ასეთ ხისტ განცხადებებს. რა შედეგებამდე მიგვიყვანს ეს ყველაფერი?

– ყველაფერს დავარქვათ თავის სახელი, რომ ეს არის ანტიუკრაინული რიტორიკა, რომელიც აქვს „ქართულ ოცნებას“ და ძალიან ვწუხვარ, რომ აგრძელებს ამას. „ქართული ოცნების“ ნაბიჯები თუნდაც თავიდანვე ელჩის გაწვევის დროს, იმისკენ კი არ იყო მიმართული, რომ გაერკვიათ, რა გაუგებრობას ჰქონდა ადგილი ურთიერთობაში, არა, პირიქით, დაამძიმეს ვითარება. ანტიუკრაინული განცხადებები რომ აქვს კობახიძესაც, ღარიბაშვილსაც, უმრავლესობის წევრებსაც, ამის შემდეგ გასაგებია, რომ მძიმე პასუხს იღებ უკრაინის მხრიდანაც.

დღეს უკრაინის პოზიცია ესმის მთელ მსოფლიოს. რაღაცნაირად ტესტივით არის. გერმანიაში გერმანიის მთავრობა უსმენს, ამერიკაში – ამერიკის მთავრობა. როცა შენთან დაკავშირებით ასეთი ნეგატიური დამოკიდებულებაა, სახელმწიფოსთან დაკავშირებით, სამწუხაროდ, „ქართული ოცნება“ დღეს სახელმწიფოს პოზიციას გამოხატავს. ამით, პირველ რიგში, ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესები ზიანდება. უნდა გავიაზროთ, რომ ამას არა მხოლოდ მოკლევადიანი, არამედ გრძელვადიანი ეფექტიც ექნება ძალიან დიდი.

– რა გზები არსებობს ამ ვითარების გამოსასწორებლად?

– რა თქმა უნდა, არის გამოსავალი. ჩვენ არაერთხელ შევთავაზეთ ხელისუფლებას სხვადასხვა ინიციატივები. შევთავაზეთ უშიშროების გაფართოებული სხდომა, მათ შორის, ოპოზიციის მონაწილეობით, საერთო სამოქმედო გეგმა ევროინტეგრაციის მიმართულებით. ჩვენ ვნახეთ დღეს ევროპარლამენტის კვლევითი ცენტრის დასკვნები, კატასტროფაა. პირდაპირ უწერიათ, რომ ყველა მიმართულებით უკუსვლა აქვს საქართველოს. ასე რომ, ფაქტია, ევროკავშირში ვერ შევალთ და ვერ დავუახლოვდებით. თუ ამის გულწრფელად აღმოფხვრა უნდა „ქართულ ოცნებას“, მე ამის რეცეპტი არაერთხელ შევთავაზე და დღესაც მზად ვართ, რომ შევქმნათ დაჩქარებული ინტეგრაციის საერთო მექანიზმი ევროკავშირთან, უკრაინასთან ურთიერთობის ნორმალიზების მექანიზმი და ჩვენ ამას გავაკეთებთ, რადგან ჩემთვის ქვეყნის ეროვნული ინტერესი და სახელმწიფო ინტერესი ყველაზე მაღლა დგას. სამწუხაროდ, ამის საპასუხოდ, „ქართული ოცნებისგან“ რას ვიღებთ? რომ საგარეო კუთხით არც ერთ ინიციატივას არ განიხილავენ, რაც ოპოზიციიდან მოდის. ეს ძალიან მძიმე პოზიციაა და ამით ზიანდება ისევ და ისევ ჩვენი ეროვნული ინტერესები.

– საგარეო საქმეთა მინისტრის ცვლილებაზე რას იტყვით, რატომ გაუშვეს ზალკანიანი?

– ეს ცვლილება დიდი ხანია დაგეგმილი იყო და ახლა უფრო დაჩქარდა, რადგან ზალკანიანი ერთი ერთზე არ აკოპირებდა ყველა იმ გზავნილს, რომელიც ჰქონდა „ქართულ ოცნებას“. ახლა კი ის ადამიანი იქნება მინისტრად, რომელიც ერთი ერთში გაიმეორებს ყველაფერს, რასაც ეტყვის „ქართული ოცნება“. მათ შორის, ანტიუკრაინულ განცხადებებს.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

ბიბილოვი ორი რეფერენდუმის მოწყობას გეგმავს

კრემლი თბილისზე ზეწოლას ახდენს?

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს ძირძველი კუთხის – ცხინვალის რეგიონის ანექსიის საფრთხე სულ უფრო რეალური ხდება. საქმე ბიბილოვის ხუთი დღის წინანდელი კომენტარებით არ დასრულებულა.

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი რეგიონის რუსეთთან მიერთებაზე ისევ ამახვილებს ყურადღებას და ამ მიზნით ორი რეფერენდუმის გამართვას გეგმავს. ცხინვალის რეგიონში შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი რეფერენდუმის ჩატარების საკითხზე. ჯგუფი შესაბამისი განაცხადით მიმართავს რესპუბლიკის ე. წ. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

ცხინვალის რეგიონის (ე.წ. სამხრეთ ოსეთის) ანექსიისათვის მზადება აშკარაა. ამასთან შედარებით რეგიონის ოკუპაცია და მისი „დამოუკიდებლობის“ აღიარება, ნაკლები უბედურებაა. თუ რეფერენდუმს მოჰყვა რუსეთის ფედერაციაში შესვლა, ეს ანექსია იქნება. მას არ აღიარებენ დასავლეთში. ამაზე განცხადება გააკეთა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა. მიუხედავად ამისა, სიტუაცია საგანგაშოდ გამოიყურება.

რუსეთის მიერ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის გარშემო განვითარებულმა მოვლენებმა, შესაძლოა, საქართველოს სხვა გამოწვევები დაავიწყოს.

არსებობს მოსაზრება, რომ რეგიონის რუსეთთან მიერთების მუქარებით, კრემლი თბილისზე ზეწოლას ახდენს. რეალურად, საქართველოს ხელისუფლება უკრაინაში ომის ფონზე იმდენად დამთმობი და ლოიალურია რუსეთის მიმართ, რომ დამატებითი ზემოქმედება ზედმეტია.

შესაძლოა, ცხინვალის საკითხის გააქტიურებით რუსეთი ანგარიშს უსწორებდეს აშშ-ს და მთელ დასავლეთს უკრაინაში ჩაფლავებული ადრინდელი ზრახვების, ასევე, სანქციების გამო.

შეუძლებელია, რომ რუსეთთან შეერთების წყურვილის ახლანდელი მოძალება ცხინვალში მარტო იქ 10 აპრილს დაგეგმილ დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნებს და ბიბილოვის „სტრატეგიულ გეგმებს“ უკავშირდებოდეს. როგორც ცხინვალში, ისე რუსეთის ფედერაციაში, რამდენიმე დღეა, მსჯელობენ საქართველოს ამ ნაწილის რუსეთში შესვლის, შემდგომში კი ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიასთან მიერთების მექანიზმებზე.

დონეცკის რესპუბლიკიდან დაბრუნებული ბიბილოვი გავრცელებულ ვიდეოკომენტარში აცხადებს, რომ ცხინვალში, სავარაუდოდ, გაიმართება ორი რეფერენდუმი. ერთი გადაწყვეტს რუსეთთან მიერთების საკითხს, მეორე – ჩრდილოეთ ოსეთთან შერწყმის პრობლემას.

ანატოლი ბიბილოვი:

– ჩვენ უნდა გავიგოთ, რომ რუსეთში პირდაპირ შესვლა და იმავდროულად ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანება არ გამოვა. ამის საშუალებას კანონმდებლობა არ იძლევა. როცა სამხრეთ ოსეთი რუსეთის შემადგენლობაში იქნება, მაშინ დაიწყება ორი ოსეთის გაერთიანების პროცესები.

ბიბილოვის თქმით, რუსეთში ყოფნა ოსი ხალხი თითქმის ასწლიანი სურვილია. დღეს შესაძლებლობის ეს ფანჯარა არსებობს. მისი გამოუყენებლობის უფლება ოსებს არა აქვთ.

ახალ რეალიებზე რუსეთშიც ალაპარაკდნენ. თუ ბიბილოვი ოსების ასწლიან მისწრაფებებზე ლაპარაკობს, მოსკოვში დროის სხვა მონაკვეთებს ასახელებენ.

მიმომხილველი გულია ლევანკოვა:

– სამხრეთ ოსეთში არაერთხელ უსაუბრიათ რუსეთის შემადგენლობაში შესვლაზე. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში სამხრეთ ოსეთის უმაღლესი თანამდებობის პირები და პრეზიდენტობის კანდიდატები საუბრობდნენ თავიანთ ინიციატივებზე, თუმცა კონკრეტულ ნაბიჯებამდე საქმე არ მისულა. ამჟამად გეოპოლიტიკური სიტუაცია ისე ეწყობა, რომ სამხრეთ ოსეთს მრავალი წლის განმავლობაში პირველად ეძლევა რუსეთთან მიერთების შანსი.. რუსეთი არა მარტო გახდა მისი უსაფრთხოების გარანტი და განათავსა ამ ტერიტორიაზე სამხედრო ნაწილი, არამედ, უზრუნველყოფდა სოციალურ და ეკონომიკურ პროგრამებს. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ბიუჯეტის 90% რუსეთიდან დახმარებას შეადგენს.

ლევანკოვას თქმით, რესპუბლიკა თბილისთან ცივი ომის მდგომარეობაში იმყოფება.

პოლიტოლოგ ალექსეი მარტინოვის სიტყვებით, რესპუბლიკის რუსეთის ფედერაციაში შესვლას პლებისციტი რუსეთშიც დასჭირდება.

პოლიტოლოგი ალექსეი მარტინოვი:

– რუსეთს ამა თუ იმ ტერიტორიის უსისხლო მიერთებისათვის სჭირდება საფუძველი. ეს, პირველ რიგში, არის საკუთარი მოსახლეობის აზრი სამხრეთ ოსეთის პლებისციტის შედეგის საფუძველზე და განაცხადი. უნდა გაიმართოს ან სრულად რუსეთის გამოკითხვა, როგორც მოხდა ყირიმის შემთხვევაში, ან – რეფერენდუმი. ხოლო სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის შერწყმის შემთხვევაში, რეფერენდუმია ჩასატარებელი ჩრდილოეთ ოსეთში.

პოლიტოლოგი ირწმუნება, რომ ცხინვალელი ოსები რუსეთში შესვლას 30 წელიწადია, ცდილობენ. ამ წლებში გამართულ ორ რეფერენდუმზე მოსახლეობამ ამას მხარი დაუჭირა. მესამე რეფერენდუმიც გაიმართება.

სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის მიერთება, სხვა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის გათელვა საერთაშორისო ნორმების უხეში დარღვევაა. აგრესორი რუსეთი, რომელიც ხოცავს და აწამებს მშვიდობიან მოსახლეობას უკრაინაში, ცხინვალის შემთხვევაში სხვა სახის ძალადობაზეა გადასული.

რუსეთის ფედერაციის საბჭოს სენატორი ყირიმიდან ოლგა კოვიტიდი ურცხვად აცხადებს, რომ სამხრეთ ოსეთისა და რუსეთის გაერთიანება შეესაბამება ორივე სახელმწიფოს ეროვნულ კანონმდებლობას და საერთაშორისო სამართლის პრინციპებს.

საქართველო ურთულესი გამოწვევის წინაშე დადგა. ამ გამოწვევას იგი აქტიური საერთაშორისო ჩარევის გარეშე ვერ გაუმკლავდება.

ხატია დეკანოიძე: „გია ლორთქიფანიძე არ მუშაობს უკრაინის სამხედრო დაზვერვაში“

– შიდა დაპირისპირებაში ამ ინფორმაციის გადატანა თავის მართლებაა – შევახსენებ ყველას, გია ლორთქიფანიძე არ მუშაობს უკრაინის სამხედრო დაზვერვაში, ის მუშაობს სრულიად სხვა უწყებაში და არავითარი შეხება არ აქვს სამხედრო დაზვერვასთან.

ამის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციის თავმჯდომარემ, ხატია დეკანოიძემ, ჟურნალისტებთან განაცხადა, რითაც გამოეხმაურა მმართველ გუნდში უკრაინის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის მთავარი სამმართველოს ინფორმაციაზე გაკეთებულ განცხადებებს.

მისი თქმით, უკრაინაში, სადაც ახლა რუსეთი გენოციდს აწყობს, არავის სცალია საქართველოს შიდა დაპირისპირებისთვის.

– წარმოუდგენელი გენოციდი ხდება უკრაინაში. უკრაინელი ხალხი, პრეზიდენტი, დაზვერვა, პოლიცია, ყველა, არის უმძიმესი სამხედრო აგრესიის მოწმე და თუ ვინმეს ჰგონია და თუ ხელისუფლებას ჰგონია, რომ ვინმეს სცალია საქართველოს შიდა დაპირისპირებისთვის, ეს არის ძალიან მძიმე ინფორმაცია ქვეყნისთვის. ამიტომ ის, რომ შიდა დაპირისპირებაში გადაჰყავთ ეს ინფორმაცია, არის ძალიან ფუჭი და აბსურდული განცხადებები, რაც თავის მართლებაა უმრავლესობის მხრიდან.

როცა ბრალდებაა, რომ გია ლორთქიფანიძე სადღაც მუშაობს, შევახსენებ ყველას, რომ ის არ მუშაობს სამხედრო დაზვერვაში, ის მუშაობს სრულიად სხვა უწყებაში და არავითარი თანკვეთა და შეხება არ აქვს სამხედრო დაზვერვასთან, ეს არის ღია ინფორმაცია.

მე ახლა შეკითხვას ვუსვამ საქართველოს ხელისუფლებას, ჰქონდათ თუ არა მათ კომუნიკაცია თავის კოლეგებთან უკრაინაში, მათ შორის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, რა ინფორმაციაზეა საუბარი? – განაცხადა დეკანოიძემ.

დეკანოიძე მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ ახლა რაც უნდა გააკეთოს, პირველ რიგში უკრაინულ მხარესთან კომუნიკაცია და ინფორმაციის ორმხრივ ფორმატში გაცვლაა.

ამასთან, დეპუტატი მიიჩნევს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლებამ უკრაინის და სხვა ქვეყნების მონაწილეობით შესაძლებელია, საგამოძიებო ჯგუფიც შექმნას.

– რა თქმა უნდა, ყველასთვის, არ აქვს მნიშვნელობა, რომელ პოლიტიკურ ძალას მივეკუთვნებით, ეს არის ძალიან მძიმე მოსასმენი, რომ საქართველოს ხელისუფლებას შესაძლებელია ჰქონდეს არაკანონიერი დერეფნები, რაც ხელს უწყობს სანქციებში მოყოლილ პროდუქციას. ამიტომ, რა თქმა უნდა, მეც ველოდები კონკრეტულ მტკიცებულებებს და მე თქვენს კოლეგებს, უკრაინელებს, ეს ვუთხარი, მაგრამ მე რომ ვიყო საქართველოს ხელისუფლების ადგილას, მოვიქცეოდი შემდეგნაირად და (გეტყვით) როგორ უნდა მოიქცეს ხელისუფლება – აუცილებლად მექნებოდა კონტაქტი იმ კოლეგებთან, მათ შორის, ძალოვანი უწყებების თანამშრომლებთან, ვინც ამაზე საუბრობს, ჩვენ გვაქვს ორმხრივი თანამშრომლობა უკრაინასთან და უკრაინა არის ჩვენი მეგობარი ქვეყანა, რა თქმა უნდა, ასეთი ინფორმაციის გაცვლა უნდა მოხდეს ორმხრივ ფორმატში, ურთიერთთანამშრომლობა უნდა შედგეს. შევქმნიდი სპეციალურად პატარა საგამოძიებო ჯგუფს, მოვიწვევდი უკრაინელ ექსპერტებს და არამხოლოდ უკრაინელ ექსპერტებს, საერთაშორისო ექსპერტებს, თუ რა ინფორმაციაა და რატომ მოდის ასეთი მძიმე ინფორმაცია და საჯაროდ წარვუდგენდი ამ ინფორმაციას საზოგადოებას. თუ ხელისუფლება იქნება თავდაცვის რეჟიმში გადასული და მხოლოდ „ნაციონალურ მოძრაობაზე“ ისაუბრებენ, ეს აჩენს სერიოზულ ეჭვებს. ნაბიჯები, რაზეც ვისაუბრე, რაც დაუყოვნებლივ უნდა გადადგას საქართველოს ხელისუფლებამ, – განაცხადა დეკანოიძემ.

ცნობისათვის, უკრაინის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რუსეთი სანქციების ქვეშ მოქცეული სამხედრო დანიშნულებისა და სხვა სახის პროდუქტის კონტრაბანდის არხებს ქმნის, რომელიც, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიაზე ქვეყნის ხელისუფლების თანხმობის საფუძველზე გაივლის. აღნიშნულს მმართველ გუნდში აბსურდი უწოდეს და მსგავსი ინფორმაციის არსებობა „ნაციონალურ მოძრაობას“ და უკრაინაში გია ლორთქიფანიძეს დაუკავშირეს.

სააკაშვილი: „ომის პარტია არის ის, ვინც ქადაგებს, რომ ჩვენ უნდა ჩავაბაროთ საქართველო“

– ომის პარტია არის ის, ვინც ქადაგებს, რომ ჩვენ უნდა ჩავაბაროთ საქართველო.

ამის შესახებ საქართველოს მესამე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ, 5 აპრილს, საქალაქო სასამართლოში განაცხადა, სადაც მისი ბრალდების საქმეზე პროცესი მიმდინარეობდა.

მიხეილ სააკაშვილმა სასამართლო სხდომაზე რამდენიმე საკითხზე გაამახვილა ყურადღება.

– აღმშენებლობის დრო მალე დაბრუნდება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ, რომ ჩვენი მტერი შემოვიდეს და კაპიტულანტების მეშვეობით დაიკავოს ის, რაც 2008 წელს ვერ შეძლო. თუ ეს მოხდა, ქართველი ერი გაქრება, იმიტომ, რომ ამჯერად აღარ გვაპატიებენ, ზედმეტად დიდხანს ვუწევდით წინააღმდეგობას, არ გვაპატიებენ და ამიტომ, ეს არ დავუშვათ.

ომის პარტია არის ის, ვინც ქადაგებს, რომ ჩვენ უნდა ჩავაბაროთ საქართველო. ეს არის არა მხოლოდ ომის პარტია, არამედ ეს არის საქართველოში სისხლისღვრის, უბედურების, ქართველი ერის განადგურების პარტია, ვინც ქადაგებს, რომ ჩვენ რუსეთის დაკრულზე უნდა ვიცეკვოთ. რაც შეეხება უკრაინის ბრალდებებს, მე მინდა დავიჯერო, რომ ეს მართალი არ არის, მაგრამ თუ ეს მართალი არ არის, მაშინ, გამოქვეყნებული უნდა იყოს ინსტრუქცია, – განაცხადა სააკაშვილმა.

მიხეილ სარჯველაძე: „უკრაინის დაზვერვას თუ არ ექნება მტკიცებულება, ბოდიში უნდა მოგვიხადოს“

– დაუშვებელი იყო მტკიცებულების გარეშე ასეთი განცხადების გაკეთება – თუ ვერ იქნება მტკიცებულება, უნდა ჩაანაცვლოს ბოდიშის მოხდამ.

ამის შესახებ „ქართული ოცნების“ დეპუტატმა მიხეილ სარჯველაძემ ჟურნალისტებს უკრაინის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის იმ ინფორმაციაზე დასმული კითხვის პასუხად განუცხადა, რომლის თანახმად, რუსეთი სანქცირებული პროდუქტის ქვეყანაში შეტანას საქართველოს გავლით, კონტრაბანდის სახით გეგმავს.

სარჯველაძის შეფასებით, უკრაინის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის სამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ბევრი თვალსაზრისით ითხოვს ყურადღებას და იმსახურებს შეფასებას.

– შეფასებას მოითხოვს, თუ რამდენად კორექტული, რამდენად სამართლიანი და რამდენად არგუმენტირებული შეიძლება იყოს. ამ თვალსაზრისით გარკვეული პრობლემები ამ განცხადებას აქვს.

საქართველოს მთავრობის მხრიდან გაკეთებულ განცხადებებში მკაფიოდ იყო არამც თუ უბრალოდ უარყოფილი, არამედ პრაქტიკულად გამორიცხული, რომ ასეთ ბრალდებებს რაიმე საფუძველი ჰქონდეს.

რა მდგომარეობაშიც ახლა უკრაინა იმყოფება, ვფიქრობ, გარკვეული სიფრთხილე გვავალდებულებს და მეორე მხრივ, გვზღუდავს შესაძლებლობაში, რომ რელევანტურად წარვმართოთ შემდგომი პროცესები ჭეშმარიტების დადგენის მიმართულებით.

ყველაზე რეალისტურ ახსნად მიმაჩნია, რომ უკრაინის ხელისუფლების შიგნით ასეთი მცდარი პოზიციების არსებობის ფაქტორს „ნაციონალური მოძრაობის“ მესვეურთა საკმაოდ კარგი სანაცნობო და მეგობრული ურთიერთობები შეიძლება წარმოადგენდეს, – განაცხადა მიხეილ სარჯველაძემ.

რატომ არ შეუერთდა საქართველო სანქციებს

„ოცნებას“ უცხოელ მაღალჩინოსნებთან თავის მართლება უწევს

„ქართული ოცნების“ მძიმე სამშაბათი – რატომ არ შეუერთდა საქართველო რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს? – კობახიძე-ღარიბაშვილის გუნდს უცხოელ დიპლომატებთან თავის მართლება უწევს.

არსებული ინფორმაციით, საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი დიდი ბრიტანეთის თემთა პალატის 6-კაციანი დელეგაციის წევრებმა საქართველოს ხელისუფლებას მოსთხოვეს განმარტება, რატომ არ არის მათი პოზიცია უკრაინასთან მიმართებით უფრო მკაფიო. თემას, რომ საუბარი სანქციების საკითხს შეეხო, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ადასტურებს. ირაკლი კობახიძის თქმით, დიდი ბრიტანეთის პარლამენტის წევრებთან რეგიონში მიმდინარე პროცესები განიხილეს.

– შევეხეთ რეგიონში მიმდინარე მოვლენებს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ასევე ვისაუბრეთ უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე და საქართველოს პოზიციასთან დაკავშირებით ამ ყველაფერზე. სანქციებთან დაკავშირებით, ჩვენი მხრიდან იყო განმარტება იმისა, თუ რატომ იკავებს კონკრეტულ პოზიციას საქართველო სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, სანქციებთან მიმართებით, – თქვა კობახიძემ.

– დიდი ბრიტანეთი არის ქვეყანა, რომელმაც ყველაზე მკაფიოდ აიმაღლა ხმა რუსეთის ბარბაროსობის გამო. საქართველომ კი ეს შესაძლებლობა, განსაკუთრებული ეფექტურობით უნდა გამოიყენოს.

ჩვენ ისედაც გვქონდა მეგობრული ურთიერთობა ბრიტანეთთან, თუმცა შექმნილ ვითარებაში გაცილებით მეტის მიღწევაა შესაძლებელი, – თქვა „ლელოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა, დავით უსუფაშვილმა.

„საგზაო კომპანია თბილისის“ დირექტორმა რამდენიმე პირს ესროლა

ლაგუნა ვერეზე მომხდარი მკვლელობის და დაჭრის საქმეზე 4 პირს ბრალი წარედგინა

საქართველოს პროკურატურამ თბილისში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტზე ერთ პირს, ორი ან მეტი პირის მიმართ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე ერთ პირს და დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე სამ პირს ბრალდება წარუდგინა.

პროკურატურის ცნობით, უწყება ბრალდებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობით სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2 აპრილს, თბილისში, კოსტავას პირველ შესახვევში მდებარე სს „საგზაო კომპანია თბილისის“ ოფისის ერთ-ერთ ოთახში, აღნიშნული კომპანიის დირექტორთან გ.ქ.-სთან და მის მეგობრებთან – ვ. გ. და კ. ქ.-სთან სასაუბროდ მივიდნენ მათი ნაცნობები – დ. მ., ვ. მ., მ. მ., ა. ბ., ო. რ. და გ. გ., ასევე მათი პირადი დაცვის წევრები – კ.მ., გ.ა., გ.პ., ლ.გ. და დ.ც., და თანმხლები პირები – ლ.კ., გ.გ., გ.ა., გ.მ., ო.ბ., ხ.ც., და შ.გ.

შეხვედრის მიმდინარეობისას, მხარეებს შორის შეკამათება ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რომლის დროსაც, კომპანიის დირექტორმა, მის საკუთრებაში არსებული იარაღიდან დაპირისპირებაში მყოფი პირების მიმართულებით რამდენიმე გასროლა განახორციელა. სროლის შედეგად ო.ბ.-მ, მ.მ.-მ და დ.ც.-მ სიცოცხლისთვის სახიფათო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებები მიიღეს.

„აღნიშნული დაპირისპირების დროს პირადი დაცვის ერთ-ერთმა წევრმა კ.მ.-მ განზრახ მოკვლის მიზნით, მისი კუთვნილი ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე ესროლა კ.ქ.-ს, რომელიც მიღებული დაზიანებების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ გ.პ.-მ, გ.ა.-მ და გ.გ.-მ იცოდნენ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შესახებ, თუმცა სამართალდამცავ ორგანოებს არ შეატყობინეს.

სამართალდამცველებმა კ.მ., გ.ქ., გ.პ., გ.გ. და გ.ა. 3 აპრილს დააკავეს.

კ.მ.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 7-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გ.ქ.-ს ბრალდება 117-ე მუხლის მეშვიდე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება ორი ან მეტი პირის მიმართ) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 9 წლიდან 13 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ხოლო გ.პ.-ს, გ.გ.-ს და გ.ა.-ს ბრალდება 376-ე მუხლის მეორე ნაწილით (განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 3-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა ბრალდებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობით, სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

გამოძიება გრძელდება დანაშაულში მონაწილე სხვა პირების დადგენის და დაკავების მიზნით“ – აღნიშნულია პროკურატურის ინფორმაციაში.

ჟურნალისტებზე ძალადობისთვის 6 პირს 5-5 წელი მიესაჯა

ჟურნალისტებისა და ოპერატორების, მათ შორის, „ტვ პირველის“ ოპერატორის, ლექსო ლაშქარავას მიმართ განხორციელებულ ფიზიკურ ძალადობაში ბრალდებულები სასამართლომ დამნაშავედ ცნო.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ნინო ელიეშვილმა 4 აპრილს გამოაცხადა.

ელიეშვილის გადაწყვეტილებით, აკაკი ნაკაშიძეს, თორნიკე დავლაშერიძეს, დავით კუტალაძეს, ოთარ გელაშვილს, ცოტნე ჩიხლაძესა და გია გიგუაშვილს 5-წლიანი პატიმრობა მიესაჯათ.

მოსამართლემ 6-ვე ბრალდებული ყველა ბრალდებაში ცნო დამნაშავედ, მხოლოდ ცოტნე ჩიხლაძის შემთხვევაში მოხდა ერთ-ერთი მუხლის კვალიფიკაციის შეცვლა.

ჩიხლაძეს ლექსო ლაშქარავასა და მირანდა ბაღათურიას მიმართ განხორციელებული ძალადობის გარდა, საზოგადოებრივი მაუწყებლის ოპერატორის ილიკო თვალიაშვილის მიმართ სხეულის მძიმე დაზიანებას ედავებოდნენ, მუხლის კვალიფიკაცია ძალადობით შეიცვალა, ვინაიდან მოსამართლის განმარტებით, საქმეზე სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა არ არის წარმოდგენილი.

აღნიშნული ეპიზოდი „ტვ პირველის“ ოპერატორს, ლექსო ლაშქარავასა და ჟურნალისტ მირანდა ბაღათურიას, ასევე „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ოპერატორის ილია თვალიაშვილის მიმართ განხორციელებულ ძალადობას ეხება.

დაკავებული პირებიდან ბრალს ამ დრომდე არც ერთი აღიარებს.

აღნიშნულ საქმეზე სახელმწიფო ბრალდებას სასამართლოში არაერთი მტკიცებულება აქვს წარმოდგენილი, მათ შორის, ვიდეოჩანაწერები, სადაც დაკავებულების მხრიდან ჟურნალისტების მიმართ განხორციელებული ძალადობაა ასახული. ამასთან, პროკურატურამ არაერთი მოწმე დაკითხა, მათ შორის, სამართალდამცავები, რომლებიც დეტალურად აღწერდნენ ბრალდებულების მხრიდან განხორციელებულ ძალადობას.

ცნობისთვის, რუსთაველის გამზირზე, მედიასაშუალებების წარმომადგენელთა მიმართ განხორციელებულ ძალადობრივ ქმედებებსა და პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ბრალდებით 27 პირი დააკავეს. მათ ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე (ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა), 156-ე მუხლით (დევნა), 225-ეს მე-2 ნაწილი (ორგანიზებულ ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობა) მუხლებით წაუყენეს.

ნაწილს ასევე ბრალი წარდგენილი აქვთ სისხლის სამართლის კოდექსის 118 მუხლის მე-3 ნაწილით, რაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს მსხვერპლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით ჩადენილს ჯგუფურად.

რამდენიმე პირს ასევე ბრალი წარდგენილი აქვს 117 მუხლის მე-3 და მე-5 ნაწილითაც, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას, ჯგუფურად გენდერის ნიშნით, სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით ჩადენილს გულისხმობს.

აღნიშნულ საქმეზე 27 პირი დააკავეს, საქმეს კი 56 დაზარალებული ჰყავს, მათ შორის, 47 ჟურნალისტია.

სუსი: „მოვუწოდებთ უკრაინას, მოგვაწოდოს დამადასტურებელი მტკიცებულებები“

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური უკრაინულ მხარეს მოუწოდებს, დაუყოვნებლივ მიაწოდონ მათი დაზვერვის მთავარი სამმართველოს მიერ გავრცელებული ინფორმაციის დამადასტურებელი მტკიცებულებები „მათზე სამართლებრივი რეაგირების მიზნით“.

როგორც სუს-ის განცხადებაშია ნათქვამი, აღნიშნული ქმედება, საქართველოს კანონმდებლობით, წარმოადგენს სისხლის სამართლის განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულს.

„უკრაინის სამხედრო დაზვერვის მიერ გავრცელდა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, თითქოსდა, საქართველოს სპეციალურ სამსახურებს აქვთ ფარული კავშირები რუსეთის ფედერაციის შესაბამის სამსახურებთან, საქართველოს ტერიტორიის გავლით კონტრაბანდული ტვირთების გადატანის ორგანიზების მიზნით.

აღნიშნული ქმედება, საქართველოს კანონმდებლობით, წარმოადგენს სისხლის სამართლის განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულს. მოვუწოდებთ უკრაინულ მხარეს, დაუყოვნებლივ მოგვაწოდონ ამ ინფორმაციის დამადასტურებელი მტკიცებულებები, მათზე სამართლებრივი რეაგირების მიზნით. საქართველოს ხელისუფლება იქნება უკომპრომისო ამგვარი დანაშაულის ნებისმიერ შესაძლო შემთხვევასთან დაკავშირებით.

აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ინფორმაციის გაცვლის მიზნით, გუშინვე შეხვდა საქართველოში უკრაინის საელჩოს წარმომადგენელს. შეხვედრის ფარგლებში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური დაინტერესდა აღნიშნული ინფორმაციის გავრცელების საფუძვლებით და მოითხოვა დეტალური ინფორმაციის გაზიარება საკითხთან დაკავშირებით.

შევახსენებთ უკრაინულ მხარეს, რომ ასეთი ინფორმაციის ურთიერთგაცვლა არაერთი სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებით არის განსაზღვრული.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩაითვლება, რომ გავრცელებული განცხადება წინასწარ განზრახული დეზინფორმაციაა, წარმოადგენს უკიდურესად არამეგობრულ და პროვოკაციულ ნაბიჯს და მიზნად ისახავს საქართველოში შიდა არეულობის პროვოცირებას, რომელიც ნებსით თუ უნებლიეთ, ემსახურება მხოლოდ საქართველოსადმი მტრულად განწყობილი ძალების ინტერესებს“ – ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ოფიციალური ვიზიტი ესპანეთის სამეფოში დასრულდა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, ვახტანგ გომელაურის ოფიციალური ვიზიტი ესპანეთის სამეფოში დასრულდა.

ვახტანგ გომელაურმა ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გამართა ესპანეთის სამეფოს შინაგან საქმეთა მინისტრთან – ფერნანდო გრანდე მარლასკა გომესთან და ესპანეთის სამეფოს სამოქალაქო გვარდიის გენერალურ დირექტორთან – მარია გამეს გამესთან.

მხარეებმა სამართალდაცვით სფეროში არსებული ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს და სამომავლო ურთიერთობის პერსპექტივები დასახეს. ვახტანგ გომელაურმა ესპანეთის სამოქალაქო გვარდიის წარმომადგენლებს არსებული თანამშრომლობის გაღრმავებაში შეტანილი წვლილისათვის მადლობის სიგელები გადასცა.

შეხვედრებს ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე – შალვა ბედოიძე, რომელმაც ამავე ვიზიტის ფარგლებში შეხვედრა გამართა ესპანეთის ეროვნული პოლიციის გენერალური დირექტორის მოადგილესთან – ხოსე ანხელ გონსალეს ხიმენესთან.

სააკაშვილის ადვოკატის მიმართ უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე პენიტენციურის ინსპექტორს ბრალდება წარედგინა

საქართველოს პროკურატურამ მიხეილ სააკაშვილის ადვოკატის შოთა თუთბერიძის მიმართ განხორციელებული სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე სპეციალური პენიტენციური სამსახურის ინსპექტორს ბრალდება წარუდგინა.

როგორც პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, გამოძიების ფარგლებში, პროკურატურამ მიმართა შუამდგომლობით თბილისის საქალაქო სასამართლოს გ.გ-ს მიმართ პატიმრობის შესახებ განჩინების გაცემის თაობაზე, თუმცა სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

ამასთან, განცხადებაში ნათქვამია, რომ დამატებით, პროკურატურამ რეაგირების მიზნით სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს მიმართა.

საქართველოს პროკურატურა თბილისის საქალაქო სასამართლოს ბრალდებულის მიმართ, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

„სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2 მარტს, პატიმართან შეხვედრის შემდგომ, ქალაქ რუსთავში მდებარე №16 პენიტენციური დაწესებულების გამოსასვლელთან იმყოფებოდა ადვოკატი შ.თ., რომელიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მეტალო დეტექტორის საშუალებით შეამოწმა ინსპექტორმა გ.გ-მ. შემოწმების პროცესში გ.გ-სა და შ.თ.-ს შორის მოხდა შელაპარაკება.

კონფლიქტისას გ.გ.-მ საკითხის გასარკვევად, საკუთარი ინიციატივით, ადვოკატი შეიყვანა პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელთათვის განკუთვნილ მოსასვენებელ ოთახში, იმ მიზნით, რომ არ მომხდარიყო მისი ქმედების დაფიქსირება სამეთვალყურეო ვიდეოკამერების მეშვეობით.

რამდენიმე წუთის შემდგომ, გ.გ. და შ.თ. გამოვიდნენ ზემოხსენებული ოთახიდან, რა დროსაც, გ.გ.-მ გადაამეტა თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას და იგი შეაკავეს პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებმა.

გამოძიების ფარგლებში, პროკურატურამ მიმართა შუამდგომლობით თბილისის საქალაქო სასამართლოს გ.გ-ს მიმართ პატიმრობის შესახებ განჩინების გაცემის თაობაზე, თუმცა სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

გ.გ.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ამასთან, დამატებით, პროკურატურამ რეაგირების მიზნით მიმართა სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს.

საქართველოს პროკურატურა თბილისის საქალაქო სასამართლოს ბრალდებულის მიმართ, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით, კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პროკურატურა ადვოკატების მიმართ განხორციელებულ კანონსაწინააღმდეგო ფაქტებზე მკაცრ სისხლისსამართლებრივ პოლიტიკას ატარებს“ – აღნიშნულია პროკურატურის განცხადებაში.

თბილისის აეროპორტში უცხო ქვეყნის მოქალაქე ნარკოდანაშაულისთვის დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის და ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, უცხო ქვეყნის მოქალაქე – 1981 წელს დაბადებული ა.ი. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, დანაშაული 15-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, ა.ი.-ს კუთვნილი ბარგისა და ხელბარგის შემოწმებისას, სამგზავრო ჩანთაში წინასწარ მოწყობილი სამალავიდან 2 კილო და 200 გრამი ნარკოტიკული საშუალება „კოკაინი“ ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

ზელენსკი: „ოკუპანტები პასუხს აგებენ მათ მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულისთვის“

უკრაინის პრეზიდენტის, ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, რუსი ოკუპანტები პასუხს აგებენ ყველა იმ დანაშაულისთვის, რაც ჩაიდინეს.

– ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ რაც შეიძლება სწრაფად გამოვავლინოთ ყველა რუსი სამხედრო, რომელიც მონაწილეობს ამ დანაშაულებში, ყველაფერს ვაკეთებთ მათ დასასჯელად, – განაცხადა ზელენსკიმ ვიდეომიმართვაში.

– ეს იქნება ჩვენი სახელმწიფოს ერთობლივი მუშაობა ევროკავშირთან და საერთაშორისო ინსტიტუტებთან, კერძოდ, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან, – აღნიშნა უკრაინის პრეზიდენტმა.

მისი თქმით, ოკუპანტების ყველა დანაშაული აღრიცხულია და უზრუნველყოფილია აუცილებელი პროცედურული საფუძველი დამნაშავე რუსი სამხედროების პასუხისგებაში მისაცემად მათ მიერ ჩადენილი თითოეული დანაშაულისთვის.

– მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენ დაინტერესებული ვართ ყველაზე სრულყოფილი, გამჭვირვალე გამოძიებით, რომლის შედეგები მთელი საერთაშორისო საზოგადოებისთვის გახდება ცნობილი.

ჩვენ უზრუნველვყავით ჟურნალისტებისთვის მაქსიმალური წვდომა ბუჩასა და უკრაინის სხვა განთავისუფლებულ ქალაქებში. რაც შეიძლება მეტი ჟურნალისტი, რათა მსოფლიომ დაინახოს, რა გააკეთა რუსეთმა! – განაცხადა ზელენსკიმ.

ქალმა ლატარიის ბილეთი გადააგდო და კინაღამ მოგების გარეშე დარჩა

აშშ-ის მკვიდრმა მოგებული ლატარიის ბილეთი შემთხვევით ნაგავში მოისროლა და კინაღამ მოგების, 110 ათასი დოლარის გარეშე დარჩა.

ვირჯინიის შტატის მცხოვრებმა მერი ელიოტმა განაცხადა, რომ ლატარიის ბილეთი 24 თებერვალს იყიდა. როდესაც გათამაშებაში ამოსული მომგებიანი ნომრები გამოცხადდა, ქალი მიხვდა, რომ მოგებული იყო, თუმცა მისი სიხარული პანიკაში გადაიზარდა, როდესაც დარწმუნდა, რომ მომგებიანი ბილეთი შემთხვევით ნაგავში გადააგდო.

მას ნარჩენების ერთიანად გადაქექვა მოუხდა ბილეთის საპოვნელად, თუმცა ნაპოვნ ბილეთს ყავა ჰქონდა გადასხმული და შტრიხკოდი არ იკითხებოდა. მაშინ ქალი საპრიზო კომისიაში მივიდა და მხოლოდ იქ აღიარეს გათამაშების გამარჯვებულად ლატარიის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა. ელიოტი უზომოდაა გახარებული იმით, რომ მიუხედავად საკუთარი დაბნეულობისა, მოგება არ დაკარგა, თუმცა ჯერ არ გადაუწყვეტია, თუ რაში დახარჯავს მოგებულ თანხას.

მედვედევი: „რუსეთი პროპორციულად უპასუხებს დასავლეთიდან მისი დიპლომატების გაძევებას“

რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე, დიმიტრი მედვედევი აცხადებს, რომ რუსეთი პროპორციულად უპასუხებს დასავლეთის ქვეყნებიდან მისი დიპლომატების გამოძევებას.

– პასუხი ყველამ იცის: ეს იქნება სიმეტრიული და დესტრუქციული ორმხრივი ურთიერთობებისთვის. ვინ დასჯეს? პირველ რიგში, საკუთარი თავი.

თუ ასე გაგრძელდა, მართებული იქნება, როგორც მე დავწერე 26 თებერვალს – დასავლეთის საელჩოებისთვის კარის ჩაკეტვა, – აღნიშნა მედვედევმა.

ამერიკელმა თითქმის მთელი ქვეყანა ველოსიპედით შემოიარა და 14 კილოგრამი დაიკლო

ქალაქ ნიუ იორკის მკვიდრი ქვეყანაში ველოსიპედით მოგზაურობს და ერთი წლის განმავლობაში 50 შტატისა და მათი დედაქალაქების მონახულება აქვს დაგეგმილი. 52 წლის ბობ ბარნსმა უკვე დაძლია გასავლელი გზის 60 პროცენტი, თითქმის შემოიარა მთელი ამერიკა და ამ დროის განმავლობაში 14 კილოგრამი დაიკლო წონაში.

ბარნსმა თავისი მოგზაურობა 2021 წლის 1 აგვისტოს დაიწყო. ამ დროისთვის მან ფლორიდა დატოვა, რომელიც 31-ე შტატი იყო მის გზაზე.

– მე მართლაც ბედნიერი ვარ. ამინდი იცვლება. სულ უფრო უკეთეს ადგილებს ვნახულობ, მაგრამ ჯერ კიდევ რამდენიმე მთის გადავლა მომიწევს, – განაცხადა მოგზაურმა და აღიარა, რომ ცოტა სევდა ეპარება, როდესაც ახსენდება, რომ მალე მისი მოგზაურობა დასრულდება.

ამერიკელი ამჟამად ჯორჯიის შტატის დედაქალაქ ატლანტისკენ მიემართება და 16 ათასი კილომეტრის ნიშნულის გადასალახავად მზად არის.

საფრანგეთი 30 რუსი დიპლომატის გაძევებისთვის ემზადება

გერმანიამ 40 რუსი დიპლომატი პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა

რუსი დიპლომატების გაძევებისთვის საფრანგეთი ემზადება.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში თქვეს, რომ საფრანგეთიდან 30 რუსი დიპლომატის გაძევებაზეა საუბარი. თუმცა, ოფიციალური განცხადება ამის შესახებ არ გაკეთებულა.

მანამდე ცნობილი გახდა, რომ გერმანია ქვეყნიდან 40 რუს დიპლომატს აძევებს.

ამის შესახებ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანალენა ბერბოკმა განაცხადა.

– ფოტოები ბუჩადან ადასტურებს რუსეთის ხელისუფლებისა და მისი პროპაგანდისტების მხრიდან წარმოუდგენელ სისასტიკეს. ამიტომ, ფედერალურმა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, არასასურველ პირებად გამოაცხადოს რუსეთის საელჩოს თანამშრომელთა გარკვეული რაოდენობა, რომლებიც ყოველდღიურად მუშაობდნენ აქ, გერმანიაში ჩვენი თავისუფლების, ჩვენი საზოგადოების ერთიანობის წინააღმდეგ, – ნათქვამია ბერბოკის განცხადებაში.

მისი თქმით, ბერლინი პარტნიორებთან ერთად მუშაობს შემდგომ საპასუხო ქმედებებზე.

– ჩვენ კიდევ მეტად გავამკაცრებთ რუსეთის წინააღმდეგ არსებულ სანქციებს, მნიშვნელოვნად გავზრდით მხარდაჭერას უკრაინის ძალებისადმი, ასევე, გავაძლიერებთ ნატოს აღმოსავლეთის ფლანგს, – განაცხადა მინისტრმა.

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, ქვეყანაში 104 რუსი დიპლომატია აკრედიტებული.

ქალმა პლაჟზე ძველი მონეტებითა და ძვირფასი ქვებით სავსე კიდობანი იპოვა

დიდი ბრიტანეთის მკვიდრმა ქალმა პლაჟზე იპოვა ძველი კიდობანი, რომელშიც მონეტები და ძვირფასი ქვები იყო შენახული.

38 წლის ჯენი ფიცჯერალდი ამტკიცებს, რომ ქვიშაში ჩაფლულ კიდობანს იმ დროს მიაგნო, როდესაც ოჯახთან ერთად ნორფოლკის საგრაფოში პლაჟის დასუფთავებით იყო დაკავებული.

– მეუღლეს დავუძახე და ვუთხარი, რომ რაღაც შთამბეჭდავი ნივთი ვიპოვე, მაგრამ მან მიპასუხა: „ოჰ არა, ეს კიდევ ერთი ნაგავია“, – იხსენებს ქალი, რომელსაც მძიმე ნივთის თრევა თავადვე მოუხდა.

ფიცჯერალდმა და მისმა შვილებმა კიდობანი მიწებებული ქვიშისგან კბილის ჯაგრისების გამოყენებით გაწმინდეს, შემდეგ კი მის შიგთავსამდე კიდობნის დაზიანებული ძირიდან მიაღწიეს. შიგნით ასამდე მონეტა აღმოჩნდა, უმეტესად ვიქტორიანული და მეფე გეორგ III-ის დროინდელი, რომელიც ბრიტანეთს XVIII საუკუნის ბოლოს მართავდა. ქალის თქმით, ზოგიერთი მონეტა შუა საუკუნეებისას და ძველ რომაულს წააგავდა. კიდობანში ასევე აღმოჩნდა ძვირფასი ქვები, დაჟანგული ჯიბის საათი, ძველი ფლაკონი სუნამოთი, ბეჭედი და ვერცხლის ასანთის ჩასაწყობი კოლოფი, რომელზეც ამოტვიფრული იყო „ერნესტი“.

– პლაჟზე არასოდეს მსგავსი არაფერი მიპოვია, – აღიარა ფიცჯერალდმა, – ჩვეულებრივ, ვეძებ ძრავის მინასა და ნიჟარებს და ამიტომ ჩემთვის პირდაპირ საოცრება იყო ასეთი რამის პოვნა.

ქალმა ნაპოვნი განძი მისი ღირებულების დასადგენად ექსპერტებს გაუგზავნა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

უკრაინასთან ომის დროს რუსებმა 18 ჟურნალისტი მოკლეს

ომის 40 დღის განმავლობაში რუსმა აგრესორებმა მედიის 18 წარმომადგენელი მოკლეს, მათ შორის, 15 მამაკაცი და 3 ქალი.

ამავდროულად, რვა ადამიანი (ოთხი მამაკაცი და ოთხი ქალი) გაიტაცეს და სამი ჟურნალისტი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.

ასევე, მედიის უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, ომის მსვლელობის გადაღების პროცესში მედიის 13 წევრი დაშავდა, 15 კი ოკუპანტებმა დააჭინეს.

რუსი ოკუპანტები კლავენ, იტაცებენ და აშინებენ არა მხოლოდ უკრაინელ ჟურნალისტებს. დაშავებულთა და დაღუპულთა შორის არის მედიის 19 წარმომადგენელი სხვა ქვეყნებიდან: დიდი ბრიტანეთი – 5, ჩეხეთი – 2, აშშ – 2, დანია – 2, არაბეთის ემირატები– 2, რუსეთი – 2, ირლანდია – 1, შვეიცარია – 1, საფრანგეთი – 1 , ლიეტუვა – 1.

შეგახსენებთ, 13 მარტს ირპენში რუსმა ოკუპანტებმა დახვრიტეს ამერიკელი სამხედრო რეპორტიორი და დოკუმენტალისტი ბრენტ რენო.

გარდა ამისა, 1 აპრილს ცნობილი ფოტოჟურნალისტი მაქსიმ ლევინი გარდაცვლილი იპოვეს კიევის რეგიონში.

უკრაინის პრეზიდენტმა ლევინი სიკვდილის შემდეგ მამაცობის ორდენით დააჯილდოვა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სამართალი

კოვიდ-19-ის აცრის ყალბი ბარათი 150 ლარად დაამზადეს

თბილისში სამედიცინო დაწესებულების ექთანი და კიდევ ერთი პირი დააკავეს, რომელთაც მოქალაქეს 150 ლარის სანაცვლოდ კოვიდ-19 აცრის ყალბი ბარათი დაუმზადეს და ის ოფიციალურ ბაზაში როგორც ვაქცინირებული პირი, ისე დაარეგისტრირეს.

ინფორმაციას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურასთან კოორდინაციით, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჯგუფურად, კომერციული მოსყიდვისა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება-გასაღების ფაქტზე ორი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ქ. თბილისში მდებარე ერთ-ერთი სამედიცინო დაწესებულების ექთანმა, რომელიც თავისი უფლებამოსილებებიდან გამომდინარე, ახდენდა მოქალაქეთა კოვიდ-ვაქცინაციას, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, მასთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფ პირთან ერთად, მოქალაქეს გამოართვა 150 ლარი, რის სანაცვლოდაც, აცრის შესაბამისი პროცედურის განხორციელების გარეშე, დაამზადა კოვიდ-19 აცრის ყალბი ბარათი, თითქოსდა მოქალაქე აცრილ იქნა ფაიზერის ვაქცინით.

ამავდროულად, ბრალდებულებმა, აღნიშნული ყალბი ბარათის საფუძველზე, მოქალაქე დაარეგისტრირეს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ბაზაში, როგორც ვაქცინირებული პირი.

საქმეზე გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლის მე-4 და 362-ე მუხლის პირველი ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 6 წლამდე ვადით“ – ნათქვამია საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციაში.

მეუღლის მიმართ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისთვის ბრალდებულს 5 წელი მიესაჯა

პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, თბილისის ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ, მეუღლის მიმართ განხორციელებული სისტემატური ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისთვის ბრალდებული დამნაშავედ ცნო.

საგამოძიებო უწყების ინფორმაციით, ბრალდების მხარის მიერ სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ ჯ.ც. წლების განმავლობაში ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ძალადობდა მეუღლეზე. ასევე, მან არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით, ორსულ მეუღლეს რამდენჯერმე სასტიკად სცემა და სხვადასხვა ფორმით დაამცირა.

სასამართლო პროცესზე, პროკურორებმა დაკითხეს დაზარალებული და ათობით მოწმე, გამოიკვლიეს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომლის შესაბამისად, დაზარალებულს სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებები აღენიშნებოდა. ასევე დადგინდა, რომ ბრალდებულის მიმართ წარსულში ორჯერ იყო გამოცემული შემაკავებელი ორდერი.

ნაფიცი მსაჯულების მიერ მიღებული გამამტყუნებელი ვერდიქტის საფუძველზე, სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა, 126-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და „კ“ ქვეპუნქტებით (არასრულწლოვნის თანდასწრებით, დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია) და 126-ე პრიმა მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით (არასრულწლოვნის თანდასწრებით, ორსული ქალის მიმართ ოჯახის წევრის მიერ განხორციელებული ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა) და სასჯელის სახედ და ზომად ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

არჩილ ბერიძე: „ქართული ფეხბურთი ცოცხალია და ვითარდება“

ბათუმის დინამოსა და თელავის მატჩში საქართველოს ჩემპიონატში ხელახალი დებიუტი ჰქონდა ხვიჩა კვარაცხელიას. მის შესახებ ახლა ძალიან ბევრი იწერება და ბევრი კითხვაც ჩნდება. სწორედ ამ კითხვებს ზღვისპირული კლუბის პრეზიდენტი არჩილ ბერიძე პასუხობს.

– კვარაცხელია დინამოში მის აგენტ მამუკა ჯუღელთან მეგობრობის წყალობით მოხვდა?

– როლი სხვადასხვა გარემოებამ ითამაშა. ჩვენთან თამაში ფეხბურთელსაც სურდა.

– რა რეაქცია ჰქონდა ამაზე რუბინის გენერალურ დირექტორს რუსტემ საიმანოვს?

– არ ვიცი ეს დეტალები. ყველაფერი აგენტის მეშვეობით მოგვარდა.

– ბევრი საუბარია იმაზე, რომ ბათუმის დინამო ხვიჩას ნაპოლიში, არსენალში ან მილანში გადასასვლელად მხოლოდ პლაცდარმია.

– დღეს კვარაცხელია ბათუმის დინამოს ფეხბურთელია. ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობთ, რომ მან ბათუმში სრულად მოახერხოს საკუთარი თავის რეალიზება.

– ანუ ცდილობთ მის შენარჩუნებას?

– რა თქმა უნდა, თუმცა გვესმის, რომ ეს ადვილი არ იქნება.

– ვინ აძლევს მას ხელფასს?

– კლუბი.

– უცხოეთში გაყიდვის შემთხვევაში ყაზანის რუბინი რას მიიღებს?

– ეს მამუკა ჯუღელს უნდა ჰკითხოთ.

– ტულას არსენალიდან ზურიკო დავითაშვილიც თქვენთან გადმოვა?

– ამის დიდი იმედი მაქვს.

– რატომ არ თამაშობს ჯანო ანანიძე?

– თურქეთში შეკრების დროს ჯანოს კოვიდი ჰქონდა, რამაც შემდეგ გავლენა მოახდინა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, მაგრამ ახლა ყველაფერი კარგადაა.

– კვარაცხელიას მოსვლის შემდეგ თქვენი გუნდის სატრანსფერო ღირებულებამ 24 მილიონ ევროს გადააჭარბა, პოსტსაბჭოთა სივრცეში ახლა უფრო ძვირი მხოლოდ რუსული კლუბები, კიევის დინამო და დონეცკის შახტარია. ეს თქვენთვის საამაყოა?

– საქმე მხოლოდ სიამაყეში არაა, ეს ჩვენი ამბიციის მაჩვენებელიცაა. ახლა მიზნად ევროტურნირების ჯგუფში მოხვედრას ვისახავთ – ჩემპიონთა ლიგაზე თუ არა, ევროპალიგაზე მაინც.

– რა არის ამჟამად თქვენი კლუბის ბიუჯეტი?

– ეს საიდუმლოა...

– ამბობენ, სახელმწიფოსგან მოცემულ ყოველ ლარზე თავად ხუთმაგს ამატებთ – ასეა?

– დიახ, დაახლოებით 4-5-ჯერ მეტს ვამატებთ.

– ქართული ბიზნესი ფეხბურთში ფულს დიდი ხალისით არ ხარჯავს?

– ბათუმი განსაკუთრებული შემთხვევაა. თქვენ თავად ნახეთ, რა ხდება სტადიონზე!

– აჭარის მთავრობა გეხმარებათ?

– აჭარის მთავრობაში დინამოს ძველი გულშემატკივრები არიან, რომლებიც, რა თქმა უნდა, განზე არ დგანან.

– პარალელურად, მისგან სტადიონს ქირაობთ?

– დიახ, მარა ეს დიდ თანხებს არ უკავშირდება, მით უმეტეს, რომ მას ბილეთების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლით ვფარავთ.

– რამდენი მაყურებელი შეგმატათ თელავთან მატჩში ხვიჩამ?

– ვფიქრობ, 30%-მდე.

– როგორც ჩანს, თავს ფეხბურთში უკვე თავდაჯერებულად გრძნობთ?

– ფეხბურთში ახალი კაცი არ ვარ, 16 წლამდე თვითონაც ვთამაშობდი. შემდეგ ჩვენი საამშენებლო კომპანია მრავალი წლის განმავლობაში კლუბს ეხმარებოდა. საკუთარ თავს პროფესიონალს არ ვუწოდებ, მაგრამ ვცდილობ, საფეხბურთო ნიუანსებს ჩავუღრმავდე. არაერთხელ ვიმოგზაურე ევროპაში საჭირო გამოცდილების მისაღებად. თითქმის 35 წელია მილანის გულშემატკივარი ვარ, ამიტომ მის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი მქონდა. მადრიდის ატლეტიკოსა და ამსტერდამის აიაქსის ინფრასტრუქტურამაც გამაოცა. ჩვენ ჯერ კიდევ შორს ვართ მათგან.

– მიუხედავად ასეთი სტადიონისა და ბაზისა?

– ჩვენ გვჭირდება სრულფასოვანი აკადემია, აუცილებელია საფეხბურთო ვერტიკალის შექმნა.

– საქართველოში ფეხბურთი ცოცხალია?

– რა თქმა უნდა! ცოცხალია და ვითარდება...

ტორპედო მწვრთნელს არ უშვებს

ეროვნული ლიგის სეზონის სტარტზე ქუთაისის ტორპედოს ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევდნენ. თუმცა, მოვლენები ისე განვითარდა, რომ რიონისპირული გუნდის თამაში ჯერ მხოლოდ კრიტიკის საფუძველს ტოვებს.

ცხადია, ეს არც ადგილობრივ გულშემატკივრებს მოსწონთ: სეზონის სტარტზე უშუალო მეტოქესთან, თბილისის დინამოსთან სტუმრად 0:4 წაგებას, საბურთალოსთან მარცხი მოჰყვა – 0:2. ამ მატჩების შუაში ტორპედომ დილას შინ 1:0 მოუგო. თუმცა, საბურთალოელებთან და მთლიანად სეზონის დაწყებიდან უღიმღამო თამაში არ მოეწონა ქომაგებს და ტორპედოელთა მწვრთნელ გია ცეცაძეს წასვლა მოსთხოვეს.

მწვრთნელს გვერდით კლუბი დაუდგა და განაცხადა, რომ ცეცაძე გუნდში მუშაობას გააგრძელებდა...

გააგრძელა და შინ წყალტუბოს სამგურალთან 0:2 დამარცხდა. სტადიონზე მისულმა გულშემატკივრებმა ცეცაძისადმი წყენა გაიხსენეს და სტუმართა მე-2 გოლის შემდეგ არცთუ ეთიკურად მოიხსენიეს. აქ უკვე მწვრთნელი გაღიზიანდა და გულშემატკივრებს ასევე უხამსი სიტყვებით მოუბრუნდა, რისთვისაც მსაჯმა წითელი ბარათი უჩვენა.

ცეცაძის საკითხს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი განიხილავს. მანამდე კი, მწვრთნელმა გადადგომის შესახებ დაწერა განცხადება, რაც კლუბმა არ დაუკმაყოფილა.

საფეხბურთო კლუბ ქუთაისის ტორპედოს განცხადება:

– ვადასტურებთ, რომ მივიღეთ გუნდის მთავარი მწვრთნელის, გია ცეცაძის, განცხადება გადადგომის შესახებ. მიგვაჩნია, რომ მსგავსი გადაწყვეტილების მიღება ცხელ გულზე გაუმართლებელი და მიზანშეუწონელია. კლუბში შექმნილი ვითარება საჭიროებს დეტალურ განხილვას და რიგი მიზეზების სიღრმისეულ შესწავლას. ამდენად, კლუბის ხელმძღვანელობა არ ჩქარობს გია ცეცაძის განცხადების დაკმაყოფილებას და მნიშვნელოვნად მიიჩნევს გადაწყვეტილების მიღებას კლუბში შექმნილი ვითარების სრულყოფილად შესწავლის შემდეგ.

შავი ლომი ქარი ქაფს მოგებით იწყებს

პირველმა ქართულმა სარაგბო ფრენჩაიზმა შავმა ლომმა სამხრეთ აფრიკის შიდა პირველობის – „ქარის თასის“ პირველ დივიზიონში გამოსვლა შთამბეჭდავი გამარჯვებით დაიწყო. საქართველოს ნაკრების საბაზო გუნდმა ქეიფთაუნში ზიმბაბვური გოსჰოუქსი 34:10 გაანადგურა და სატურნირო ცხრილში 5 ქულა ჩაიწერა.

ლადო კილასონიას მიერ მომზადებულმა გუნდმა ზიმბაბველებს 6 ლელო გაუტანა და მხოლოდ ერთი გაუშვა.

მატჩი შავი ლომის ფლანკერმა ნიკო აფციაურმა საკუთარ ბენეფისად აქცია – 4 ლელო დადო! შეხვედრის ანგარიში დებიუტშივე გაიხსნა – ზიმბაბვური ფრენჩაიზის დამრტყმელმა საჯარიმო ზუსტად შეასრულა, მაგრამ სულ მალე შუამარბმა გურამ ქანდაურაშვილმა ლელო გაიტანა, მერე კი აფციაურის დრო დადგა. ნიკომ პირველ ტაიმში 2 ლელო დადო, რომელთაგან გიორგი ბაბუნაშვილმა ერთი გარდასახა და შეხვედრის პირველი ნახევარი 17:3 მორჩა.

დანარჩენი უკვე შესვენების შემდეგ მოხდა: ჩვენმა გუნდმა ისევ 17 ქულა აიღო, ხოლო მეტოქემ – 10.

ნამატჩევის შემდეგ ზიმბაბველთა დამრიგებელმა თქვა, რომ ქართული გუნდი მისი გუნდისთვის მეტისმეტად ძლიერი მეტოქე აღმოჩნდა:

– საქართველოს ნაკრებს ტესტ-მატჩების გასამართად თვით მსოფლიო ჩემპიონი სამხრეთ აფრიკა იწვევს და ამით ყველაფერია ნათქვამი. ისინი ჩვენზე ბევრად მაღალ დონეზე დგანან.

მომდევნო მატჩს ქართული ფრენჩაიზი პორტ ელიზაბეთის „მადიბაზ სთედიუმზე“ გამართავს და ისტერნ პროვინს ელეფანთსის დაუპირისპირდება, რომელმაც პირველ ტურში იგლზს 34:15 სძლია.

წიტაიშვილი პოლონეთში ითამაშებს

საქართველოს ნაკრებისა და კიევის დინამოს ფეხბურთელი გიორგი წიტაიშვილი კარიერას პოლონეთში განაგრძობს. გავრცელებული ინფორმაციით, ქართველი შემტევი ვისლას შეუერთდა და კრაკოვში იჯარის წესით, სეზონის ბოლომდე იასპარეზებს.

ბოლო ცნობებით, ყველა დეტალი უკვე მოგვარებულია. პოლონური კლუბი გარიგებას ოფიციალურად უახლოეს დროში დაადასტურებს და წიტაიშვილის კონტრაქტის გამოსყიდვის უფლება არ ექნება, რადგან ზაფხულში გიორგი უკრაინაში დაბრუნდება და მისი საკითხი ხელახლა გადაიხედება.

შეგახსენებთ, გასულ ზაფხულში წიტაიშვილი კიევის დინამოსთან ერთად ფრანგულ შეკრებაზე იმყოფებოდა, თუმცა მირჩა ლუჩესკუსთან მისი თანამშრომლობა არ შედგა, რის შემდეგაც გიორგი იჯარით ოდესურ კლუბს, ჩერნომორეცს შეუერთდა.

სადღეისოდ, გასაგები მიზეზების გამო, უკრაინის ჩემპიონატი დროებით შეწყვეტილია.

წიტაიშვილი, რომელიც ისრაელის ქალაქ რიშონ ლეციონშია დაბადებული, კიევის დინამოს აღზრდილია და კლუბთან კონტრაქტი 2025 წლის 30 ივნისამდე აკავშირებს. მას იჯარით ვორსკლასა და ჩერნომორეცში უთამაშია. 2021-22 წლების სეზონში ოდესურ კლუბში ჩემპიონატისა და თასის ჩათვლით 15 მატჩი ჩაატარა და 1 გოლი გაიტანა.

4 აპრილი
ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონატი

კრ.პალასი-არსენალი 3:0

სატესტინიო ცხრილი:

1.სიტი	30	23	4	3	70-18	73
2.ლივერპული	30	22	6	2	77-20	72
3.ჩელსი	29	17	8	4	58-23	59
4.ტოტენჰემი	30	17	3	10	52-37	54
5.არსენალი	29	17	3	9	44-34	54
6.ვესტჰემი	31	15	6	10	51-40	51
7.მანჩესტერი	30	14	9	7	49-41	51
8.ვულვზი	31	15	4	12	33-27	49
9.კრ.პალასი	30	8	13	9	42-38	37
10.ლესტერი	28	10	7	11	43-47	37
11.ასტონ ვილა	30	11	3	16	42-42	36
12.საუთჰემპტონი	30	8	12	10	37-46	36
13.ბრაიტონი	30	7	13	10	26-36	34
14.ბრენტფორდი	31	9	6	16	37-48	33
15.ნიუკასლი	30	7	10	13	33-54	31
16.ლიდსი	31	7	9	15	35-68	30
17.ევერტონი	28	7	4	17	30-49	25
18.უოტფორდი	30	6	4	20	29-57	22
19.ბარნლი	28	3	12	13	22-40	21
20.ნორვიჩი	30	4	6	20	18-63	18

ესპანეთი. ჩემპიონატი

სოსიედადი-ესპანიოლი 1:0

სატესტინიო ცხრილი:

1.რეალი	30	21	6	3	61-26	69
2.ბარსელონა	29	16	9	4	57-29	57
3.სევილია	30	15	12	3	40-20	57
4.ატლეტიკო	30	17	6	7	57-37	57
5.ბეტისი	30	16	5	9	54-36	53
6.სოსიედადი	30	14	9	7	30-29	51
7.ვილიარეალი	30	12	9	9	48-29	45
8.ბილბაო	30	11	11	8	35-29	44
9.ვალენსია	30	10	11	9	42-43	41
10.ოსასუნა	30	10	8	12	30-40	38
11.სელტა	30	9	9	12	34-34	36
12.ესპანიოლი	30	9	9	12	35-42	36
13.რაიო	29	9	6	14	31-36	33
14.ხეტაფე	30	7	11	12	28-33	32
15.ელჩე	30	8	8	14	31-42	32
16.გრანადა	30	6	11	13	33-48	29
17.კადისი	30	5	13	12	25-41	28
18.მალიორკა	30	6	8	16	26-50	26
19.ლევანტე	30	4	10	16	33-58	22
20.ალავესი	30	5	7	18	24-52	22

შედეგები

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ლეგანესი-ფუენლაბრადა 3:2

იტალია. სერია ა

ვერონა-ჯენოა 1:0
მილანი-ბოლონია 0:0

სატესტინიო ცხრილი:

1.მილანი	31	20	7	4	56-29	67
2.ნაპოლი	31	20	6	5	56-23	66
3.ინტერი	30	18	9	3	62-25	63
4.იუვენტუსი	31	17	8	6	47-27	59
5.რომა	31	16	6	9	51-35	54
6.ლაციო	31	15	7	9	60-46	52
7.ატალანტა	30	14	9	7	52-34	51
8.ფიორენტინა	30	15	5	10	49-38	50
9.ვერონა	31	12	9	10	56-47	45
10.სასუოლო	31	11	10	10	56-51	43
11.ბოლონია	30	9	7	14	32-44	34
12.ტორინო	30	10	8	12	35-30	38
13.უდინეზე	29	7	12	10	41-47	33
14.ემპოლი	31	8	9	14	41-56	33
15.სპეცია	31	9	5	17	32-54	32
16.სამპდორია	31	8	5	18	39-52	29
17.კალიარი	31	5	10	16	29-59	25
18.ჯენოა	31	2	16	13	23-48	22
19.ვენეცია	30	5	7	18	25-55	22
20.სალერნიტანა	29	3	7	19	22-66	15

საფრანგეთი. ლიგა 2

ნანსი-აიაჩო 0:2

პორტუგალია. პირველი ლიგა

პორტუ-სანტა კლარა 3:0

თურქეთი. სუპერლიგა

ბაშაქშეჰირი-მალათია 1:0
ჰატაი-ადანა 0:0

დანია. სუპერლიგა

მიდტიულანდი-სილკებორგი 3:2

შვედეთი. ალსვენსკა

ელფსბორგი-მიალბი 0:2
დიურგარდენი-დეგერფორსი 3:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. გულის ნაწილი; 2. სიყვარულის, სილამაზის, ბედნიერების, სიმდიდრის ღვთაება ინდურ მითოლოგიაში; 3. სასიგნალო მოწყობილობა რკინიგზაზე; 4. ტერიტორიული ერთეული თურქეთში; 7. მტკიცება, რომელიც აღიარებულია რომელიმე თეორიის ამოსავალ დებულებად დასაბუთების გარეშე; 8. ცნობილი ქართველი ექიმი-ჰომეოპათი; 12. ნანადირევისთვის განკუთვნილი სპეციალური ჩანთა; 14. საკანონმდებლო ორგანო აშშ-ში; 16. ალუმინის შემცველი მინერალი; 17. დარბაზის ფეხბურთი; 19. ყველაზე ღრმა ტბა საქართველოში; 20. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი.

თარაზულად: 5. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 6. ალპებში გავრცელებული თეთრი ყვავილი; 9. ქალაქი იტალიაში, სადაც ტარდება საოპერო მომღერლების საერთაშორისო ფესტივალი; 10. მეთევზეთა, მეზღვაურთა მფარველი ღვთაება ქართულ მითოლოგიაში; 11. საფრანგეთის ნაკრებისა და „ჩელსის“ ფეხბურთელი; 13. კომპანია „ტესლას“ მფლობელი; 15. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 18. ჰაერში ასაშვები მეტეოროლოგიური ბურთი; 21. გეოდეზიური ხელსაწყო; 22. პრინცესას ტიტული ესპანეთში; 23. ლუდის მწარმოებელი ქართული ფირმა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. სუფიქსი; 2. ლელა; 3. დიჯეი; 4. ნეპალი; 6. ხეჭეჭური; 9. ტუნიკა; 13. დიუშენი; 14. რესურსი; 15. ურჯულო; 17. ჩელსი; 18. მტილი; 20. შოვი.

თარაზულად: 1. სულგუნი; 5. ზესხო; 7. პირინეი; 8. ფალცეტი; 10. ჯრუჭი; 11. ეთიკა; 12. ნუნისი; 16. ჩედერი; 17. ჩექმა; 19. უშბა; 21. ყულევი; 22. ასკილი; 23. ბოლიდი; 24. ჟიზელი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პროცესი; 2. თამადა; 3. ახტაჯანა; 4. მიცუბიში; 7. ფიროსმანი; 8. ჩხიკვაძე; 12. გიორგობა; 14. პარაგვაი; 16. ალგებრა; 17. იარლიყი; 19. ბაშო; 20. როტა.

თარაზულად: 5. ბრასკუბა; 6. ჩიხტიკოპი; 9. ბენეტი; 10. დურუჯი; 11. ფიჭვი; 13. გინზა; 15. ხარება; 18. ფლატე; 21. ხვანჭკარა; 22. ბეროუზი; 23. ბოღვერა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

6 აპრილი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0857

ევრო — 3.3822

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.0500

100 რუსული რუბლი — 3.6624

ამინდის პროგნოზი 6 აპრილისათვის

მბაპე შესაძლოა პსჟ-ში დარჩეს

პსჟ-ს ფორვარდს კილიან მბაპეს თავისი მომავლის შესახებ ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია და გავრცელდა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ის შესაძლოა პსჟ-ში დარჩეს, თუმცა თვითონ კილიანს ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია, რადგან ის თავს იკავებს მსგავსი განცხადებებისგან.

მბაპეს რეალის გარდა, რამდენიმე ინგლისურს გუნდს, მათ შორის ლივერპულს უკავშირებენ.

პედრი: „მინდა, რომ მომენტით დავტკბე“

ბარსელონას ახალგაზრდა ნახევარმცველმა პედრიმ თავის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ ის ჯერჯერობით მხოლოდ აწმყოზე ფიქრობს და არ სურს, რომ ზედმეტი ფიქრებით მომენტი გააფუჭოს.

პედრის აზრით, ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ მოახერხებს ის თავისი ტალანტის გამოყენებას:

– მინდა, რომ ყველა შეხვედრაში ჩემი მაქსიმუმი ვაჩვენო და ბარსელონას წარმატებაში ჩემი წვლილი შევიტანო. ბედნიერი ვარ, რომ სევილიასთან ეს გამომივიდა.

ანჩელოტი: „ჩელსის დამარცხება შეგვიძლია“

მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ ჩელსისთან მატჩზე ისაუბრა და თქვა, რომ მის გუნდს შეუძლია ჩელსის დამარცხება იმ შემთხვევაში, თუ რეალი თავის საუკეთესო თამაშს აჩვენებს და შანსებს ბოლომდე გამოიყენებს:

– ჩელსი ძლიერი გუნდია, მაგრამ რეალს ყოველთვის შეუძლია, რომ წარმატებას მიაღწიოს და, უბრალოდ, რწმენა უნდა გვქონდეს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ანეკდოტი

პირველკლასელ გიგის მასწავლებელი ეკითხება:

– გიგი, რიცხვები თუ იცი?

– ვიცი, მამამ მასწავლა.

– აბა, მაშინ, მითხარი, რა მოდის სამის შემდეგ?

– ოთხი!

– ყოჩაღ! შვიდის შემდეგ?

– რვა!

– ყოჩაღ! მამაშენს ჩემგან მადლობა გადაეცი! და ათის შემდეგ?

– ვალეტი!

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– წარმოგიდგენია, ქარხანაში დავიწყე მუშაობა და პირველივე დღეს საავადმყოფოში აღმოვჩნდი.

– როგორ მოახერხე?

– უბრალოდ, დავიძახე: „არტურ, ერთი „კლუჩი“ გადმომიგდე“ და რას წარმოვიდგენდი, თუ იქ 37 არტურა მუშაობდა...

●●●

დედა შვილს ეკითხება:

– შვილო, დიდი რომ გაიზრდები, ვინ გინდა, რომ გამოხვიდე?

– პენსიონერი.

– შვილო, დღეს ეგ ძალიან ძნელია, მაგას ისევ მფრინაობა სჯობია.

●●●

ავტოსერვისში ხელოსანი მანქანის დათვალიერების შემდეგ მის მფლობელს ეუბნება:

– კი მაგრამ, გოგონი, რომ დამირეკეთ, მითხარით, რომ მხოლოდ „ბამპერი“ ჰქონდა დამტვრეული თქვენს მანქანას, მაგრამ ახლა ვხედავ, რომ „კაპოტიც“, „ფარიც“ და საქარე მინაც დამტვრეულია!

– სანამ აქამდე მოვედი...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ვახტანგ კახიძემ ორკესტრში მარიუპოლელი მუსიკოსი მიიღო

მაესტრო ვახტანგ კახიძემ თბილისის სიმფონიურ ორკესტრში მარიუპოლელი მუსიკოსი მიიღო.

ჯანსუღ კახიძის მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელმა მარიანა ალეკსუნი ორკესტრს ოფიციალურად უკვე წარუდგინა. ჰობოისტი უკრაინიდან 6 წლის შვილთან სვიატოსლავთან ერთად ჩამოვიდა, ოჯახის დიდი ნაწილი კი ომში დატოვა.

მარიანას ორკესტრში მიღებას ქართველი მუსიკოსები აპლოდისმენტებით შეხვდნენ.

რეზო ჩხიკვიშვილმა უკრაინას მხარდაჭერა გამოუცხადა

გერმანიაში მოღვაწე ქართველმა მსახიობმა რეზო ჩხიკვიშვილმა უკრაინისა და უკრაინელი ხალხის მიმართ თანადგომა სიმღერით გამოხატა. მან თავის მუსიკალურ პარტნიორთან ნინო ვინბერგენ-შატბერაშვილთან ერთად კომპოზიტორ რეზო ლაღიძის უკვდავი ჰიტი „თბილისო“ შეასრულა:

– ქართველი მომღერლის და ხელოვანის, ჩემი დიდი ხნის მუსიკალური პარტნიორის, ნინო ვინბერგენ-შატბერაშვილის სოლო მუსიკალურ საღამოზე ქალაქ ესენ-კეტვიგში ვიმღერეთ.

გერმანელებს ძალიან მოსწონთ ქართული სიმღერები, მაგრამ სიმღერაზე „თბილისო“ მაინც განსაკუთრებულ ემოციებს გამოხატავენ.

ჩვენი მხრიდან ამ სიმღერით გამოვხატეთ თანადგომა უკრაინასთან და უკრაინელ ხალხთან.

ილიკო სუხიშვილის 115 წლის იუბილე კონცერტებით აღინიშნება

ანსამბლ „სუხიშვილების“ დამაარსებლის ილიკო სუხიშვილის 115 წლის იუბილე თბილისში კონცერტებით აღინიშნება.

თბილისის საკონცერტო დარბაზის დიდ სცენაზე, 3-წლიანი პაუზის შემდეგ, 16 და 17 აპრილს ორგანყოფილებიანი კონცერტები გაიმართება.

საღამოები ილიკო სუხიშვილის დაბადებიდან 115 წლის საიუბილეო თარიღს მიეძღვნება. კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 30-80 ლარია.

ცნობილი ქართველები უკრაინის მხარდასაჭერად გაერთიანდნენ

სტეფანე მღებრიშვილი, ეკა მამალაძე, ნიკოლოზ რაჭველი, ჯაბა კილაძე, გიგი დედალამაზიშვილი, სალომე ბაკურაძე, ნოდიკო ტატიშვილი, ნანუკა ჟორჟოლიანი, მარიამ ჯოლოგუა – ეს იმ ხელოვანთა მცირე ჩამონათვალია, რომლებიც უკრაინელთა მხარდასაჭერად გაერთიანდნენ.

„ჩვენ ყველანი ერთ ნავში ვსხედვართ“ – ასე ჰქვია პროექტს, რომლის იდეის ავტორიც უკრაინელი ფოტოგრაფი მარინა კარპია.

მარინა ჯგუფ „მგზავრების“ სოლისტის გიგი დედალამაზიშვილის მეუღლეა. მისი გადაწყვეტილებით, გაკეთდა შავ-თეთრი ფოტოების კოლაჟი და ჩაიწერა ვიდეომიმართვები უკრაინელებისთვის.

მამაკაცმა ჩიპსების ჭამის დროს მოულოდნელი აღმოჩენა გააკეთა

ინგლისის დორსეტის საგრაფოს ქალაქ პულის მკვიდრმა გადაწყვიტა, ღამით ჩიპსებით შეექცია თავი, გახსნა შეკვრა და მასში მოულოდნელი აღმოჩენა გააკეთა.

ინტერნეტმაღაზიის მფლობელმა 44 წლის მაიკლ ლენგფორდმა განაცხადა, რომ დასანაყრებლად ყველისა და ხახვის გემოს მქონე ჩიპსები შეარჩია.

– მახსოვს, რომ შეკვრა უჩვეულოდ მოცულობითი მომეჩვენა, – იხსენებს ინგლისელი.

მაიკლი ჩიპსების ჭამას შეუდგა და უცებ შეკვრაში რაღაც უჩვეულოს შეეხო. ლენგფორდმა შეკვრიდან ფრთხილად ამოაძვრინა უზარმაზარი, 15 სანტიმეტრი სიგრძის ჩიპსი.

ინგლისელის მეგობრებმა და ახლობლებმა მის აღმოჩენას ჩიპსი მუტანტი შეარქვეს, ლენგფორდი კი მის აუქციონზე გაყიდვას აპირებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

„რანინა“ მეხუთე სეზონით ბრუნდება

მუსიკალური შოუ „რანინა“ საქართველოს პირველი არხის ეთერში მეხუთე, საიუბილეო სეზონით ბრუნდება.

16 აპრილიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში ყოველ შაბათს მაყურებელი ყველაზე ნიჭიერ პატარა მომღერლებს გაიცნობს. ისინი ცნობილ მომღერლებთან ერთად დუეტებს შეასრულებენ, ჟიური კი ქულებს დაუწერს და საუკეთესოთა შორის საუკეთესოს გამოავლენს.

„რანინას“ მეხუთე სეზონის რჩეულები არიან: ალისა ფარულავა, ანა კერესელიძე, ბარბარე ქოქაშვილი, ვაჩე ღვინიაშვილი, კატო ჩქარეული, მარიამ ბიგვავა, ნიკოლოზ ხარატი, ოთო ბაზერაშვილი, ნინო გაზდელიანი და სანდრო კვაჭაძე.

„რანინას“ შემოქმედებითმა ჯგუფმა პროექტში მონაწილე მსურველთა შორის საუკეთესო ათეული შეარჩია. მათ შორის გამარჯვებული საქართველოს „საბავშვო ევროვიზიაზე“ წარადგენს.

ნიკ კანდელაკი და ნიკ ვესტი ბიჭის მშობლები გახდნენ

ქართველი პროდიუსერი ნიკ კანდელაკი და ცნობილი გიტარისტი ნიკ ვესტი ბიჭის მშობლები გახდნენ. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს.

– ლენი კანდელაკი! – ასე ამცნო ათასობით გულშემატკივარს უმნიშვნელოვანესი სიახლე ნიკ კანდელაკმა და პატარა ბიჭის ფოტოები ინტერნეტში გაავრცელა.

წყვილმა უამრავი მილოცვა და საუკეთესო სურვილები მიიღო.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

6 აპრილისათვის

ვერძი – დაძაბული დღეა. კოლეგებთან კონფლიქტი დიდ ენერგიას წაგართმევთ. შესაძლოა, ქრონიკული დაავადებები გაგიმწვავდეთ. **ჯარო** – ყოველგვარი უსიამოვნების სათავე თქვენი ზედმეტად მგრძნობიარე ბუნებაა. ეცადეთ, იყოთ ტაქტიანი და მომთმენი. **ტყუპები** – სამუშაო თქვენგან მაქსიმალურ კონცენტრაციას მოითხოვს. მოსალოდნელია პრობლემები ახლო ნათესავებთან. **კირჩხიბი** – დღის პირველი ნახევარი, მეორისაგან განსხვავებით, წარუმატებელია. ნებისმიერი მოულოდნელობისათვის მზად იყავით. **ლომი** – კონფლიქტი და გაუგებრობა დიდ დროს დაგახარჯვინებთ, თუმცა სიტუაცია მაინც თქვენ სასარგებლოდ შეტრიალდება. **ქალწული** – ყურადღებით აკონტროლეთ ფინანსები. გასავალი შემოსავალს არ უნდა აღემატებოდეს. **სასწორი** – ხელმძღვანელობასთან სერიოზული საუბარი გელით. დღის მეორე ნახევარში ახლობლების მხარდაჭერას იგრძნობთ. **ღრიანკალი** – იღბლიანი დღეა. ფორტუნა გიღიმით, მაგრამ გახსოვდეთ – უფასო ყველი მხოლოდ სათაგურშია. **მშვილდოსანი** – მოუგვარებელი პრობლემები თქვენგან მაქსიმალურ კონცენტრაციასა და მყისიერ რეაგირებას მოითხოვს. იოლად ნურავის მიენდობით. **თხის რქა** – საყიდლებზე ნუ წახვალთ. ნავაჭრი იღბლიანი არ იქნება. შრომის ნაყოფიერება მაღალია. **მერწყული** – წვრილმანი პრობლემები დაგღლით. მოგიწევთ ახლობლებზე ზრუნვა. **თევზები** – შემოქმედებითი პოტენციალი იზრდება. საკუთარ თავზე კონტროლს ნუ დაკარგავთ. ნებისმიერი საქმე თქვენგან დისციპლინასა და ორგანიზებულობას მოითხოვს.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოხსვოხდი ა



შვეულად: 1. ყირგიზეთის დედაქალაქი; 2. უბანი ქუთაისში; 3. ძმები ჯაჭვლიანების მხატვრული ფილმი; 4. საცხოვრებელი მასივი თბილისში; 6. სპორტის სათამაშო სახეობა; 9. პატარა სასაუზმე გერმანიაში; 13. ტყის კაცი ქართულ მითოლოგიაში; 14. საღამოს სადილი; 15. საკუთრებაში არსებული ნივთები, ფასეულობა; 17. ვერცხლით დაფარული დანაჩანგალი; 18. ნადირთა მფარველი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 20. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში.

თარაზულად: 1. კახეთის კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრი მეათე საუკუნეში; 5. მუხლს ქვემოთ შესაკრავი მოკლე შარვალი; 7. მოხარშული კვერცხისგულიანი ხაჭაპური; 8. დაღესტნის მმართველთა ტიტული; 10. ძვირფასი სარეწაო თევზი; 11. ფინური ელექტროტექნიკური კომპანია; 12. საგზაო მაგისტრალის მდინარის ქვემოთ გაყვანილი წყალგამტარი მილი; 16. ფულის ერთეული აზერბაიჯანში; 17. ამერიკული საავტომობილო კონცერნი; 19. ტერიტორიული ერთეული; 21. ფრანგი კინორეჟისორი; 22. შინაური ცხოველის კისერზე შებმული ჟღარუნა; 23. ფირმის ორგანიზაციის ვალებისა და ვალდებულებების ერთობლიობა; 24. შხამიანი გველი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა